№ 2941
პარასკევი,
4 ნოემბერი

ცნობის ფურცელი

№ 2941
პარასკევი,
4 ნოემბერი

გაზეთის ღირს: წელიწადში—6 მ. თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით, პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და ს. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს, ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-“Моамбе“. ტელეფონი № 372

შეკერილ ტანისამოსის
ახლად გახსნილ მაღაზიაში
„ექსელანს“
გოლოვინის პროს., ტფილისის საკრებულოს ქვეშ, სახლი მანთაშევისა.
ა რ ი ს
დიდძალი კაცის, ქალის და ბავშვის ტანისამოსი, ფორმის ტანისამოსი ყველა სასწავლებლის და სამოქალაქო დაწესებულებისა. შეიძლება შეკვეთა კაცისა და ქალის ტანისამოსისა. განუწყვეტლივ მოგვდის ყველაფერი, რაც ახალია ბერლინისა, პარიზისა და მოსკოვის სავაჭრო სახლიდან.
მ. და ი. მანდლ
მოიპოვება ყოველ გვარი საქონელი საზღვარ-გარეთის და რუსის ქარხნებისა. მთელი მასალა, დამზადებული საკუთარ ქარხანაზე ადესაში, შეძლებას აძლევს „ექსელანს“-ის მაღაზიას მეტად იაფი ფასები დანიშნოს.
საქონლის ყიდვა შეუვაჭრებლად
„ექსელანსის“ მაღაზიას სრული იმედი აქვს, რომ ტფილისის პატივცემული საზოგადოება პირადად მობრძანდება და გაიცნობს ყველაფერს.
(50—6.—19)

სასიკვდილოთ გულ ჩათუთქულნი მშობლები დეკანოზი **ლაზარე ტურიაშვილი და მეუღლე ეკატერინე დიმიტრის ასული შვილებითურთ: ალექსანდრა ჩიქოვანისა, კონსტანტინე, თამარი, ნიკოლოზი, მიხეილი, ივანე და ნადეჟდა** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა, ნაცნობთ და მეგობართ უდროვოთ გარდაცვალებას 2-ს ნოემბერს საყვარელის და დაუვიწყარის შვილის და ძმის სტუდენტის
ალექსანდრე ტურიაშვილისას.
გამოსვენება მოხდება კვირას, 6 ნოემბერს დილის 9½ საათზედ წმ. მარინის ეზოდან—წმ. მარინისვე ეკლესიაში და იქიდან წაასვენებენ კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზედ დასაკრძალავად.
(2—424—1)

მარიამ მიხეილის ასული და ანდრია გრიგორის ძე კლდიაშვილები და ნინო გრიგორის ასული აბაშიძისა აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 6 ნოემბერს, ნაშუადღევის 12 საათზე, ქუთაისში, მთავარ-ანგელოზის ეკლესიაში, გადახდილი იქნება პანაშვიდი უდროოდ დაკარგულ ოდესის უნივერსიტეტის ლაბორანტის
საბა გრიგორის ძის კლდიაშვილის
სულის მოსახსენებლად.
(1—1)

ეკატერინე დიმიტრის ასული ფურცელაძისა შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ შაბათს, 5 ნოემბერს გარდახდილ იქმნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი დედისა
ანნა გიორგის ასულის ღვინიაშვილისა
ანჩისხატის საკრებულო ტაძარში. წირვა დაიწყება ცხრა-ნახევარ საათზე.

სამკურნალო
ექიმთა საზოგადოებისა
ტფილისში
მუდმივის საწოლებით, ელისავეტინსკის ქუჩა, 101, ტელ. 1026.
მიიღებიან გარედან მოსიარულე ავადმყოფნი
მ. გ. ალაჯანოვი. 11—12 ს. შარდისა, ვენერიულ, სიფილისის და ნაწლევების ავადმყოფობანი.
ი. ნ. ეგიაზაროვი. 11—12 ს. ნერვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი; ელექტრონით წამლობა.
ვ. ნ. დემიდოვი. 11—12 ს. ქალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.
გ. ა. ტატევოსოვი. 12—1 ს. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობანი.
ი. ე. ავეტისოვი. 12—1 ს. ქალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.
მ. პ. კიმონტი. 1—2 ს. სადოსტაქრო ავადმყოფობანი.
მ. რ. ელჩიევი. 1—2 ს. ცხვირისა, ყელისა და ყურის ავადმყოფობანი.
პ. ა. ბეიერი. 1—2 ს. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.
სამკურნალოსთან შეიძლება ჰიპნოტიზმით მკურნალობა, მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები მორიგებით. სასტაციონერო განყოფილება შეიცავს საზოგადო პალატას და ცალკე ოთახებს. (150—20)

ექიმი
გ. ი. ტერ-გრიგორიანცი
იღებს შინაგან (სპეციალურად ფილტვის) ავადმყოფებს და ბავშვებს. გასინჯვა და მკურნალობა რენტგენის სხივებით. ავადმყოფები მიიღებიან დილით 10—12 ს. საღამოთი 5—7 ს.-მდე. მიხეილის პროსპ. № 154. (თვ.—371—20)

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე
მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, კანის და ვენერიულის ყოველ დღე დილის 8—11-მდე და საღამოს 6—8-მდე, გარდა კვირა საღამოსი. ლორის-მელიქოვის და ბარონის ქუჩების კუთხე, მესხიშვილის სახლი, ფოსტის პირდაპირ № 18. (წლ.)

ექიმი
მ. პ. ბეზირგანოვი
სიმონოვის ქუჩა № 7. მიიღებს ავადმყოფებს საღამოს 5—7½ საათ. (თვ.—6)

კბილის ექიმი
ი. ზ. კანდელაკი
გადავიდა ახალ ბინაზედ მიხეილის პროსპექტი, № 44, სახლი აბულაძისა.
იღებს კბილის სნეულებით ავადმყოფებს, უკეთეს პლომბებს, სხამს ახალ ხელოვნურ კბილებს ყოველ გვარ მეთოდზე, დილის 9—2 და საღამოს 4—6 საათამდე. (თვ.—80—26)

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილ. 12—2 ს. საღამოთი 6—7 ს. ყოველ დღე გარდა სამშაბათისა. კუთხე კირკის და დიდი მთავრის ქუჩებისა, სახლი სვანიშვილისა № 15

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქუჩის დასაწყისში, ავადმყოფებს იღებს: დილის 9—2-მდის და საღამოს 5—7-მდის. კვირა-უქმეობით 10—1-მდის.

მედიცინის დოქტორმა
გ. ი. გურგენოვმა,
შტატის ორდინატორად ნამყოფმა ხარკოვის საბებიო და საგინეკოლოგო კლინიკაში, განაახლა საბებიო და ქალის სნეულობით ავადმყოფთა მიღება. დილით 10—12 საათზე, საღამოთი 5—6 საათზე. გოლოვინის პროსპ., სახ. მდივნისა, № 12, საარტისტო საზოგადოების შენობის პირდაპირ. (თვ.—406—10)

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი
მიხეილ გედევანიშვილისა
იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთ 6—7 ს.-მდე ყორღანოვის ქუჩაზე (ვერაზე) საკუთარი სახლი № 20. ტელეფონი 791.
ავადმყოფთათვის არის ერთი კრაოტი.

მედიცინის დოქტორი
მ. ი. მურადოვი
ყოფილი ორდინატორი მოსკოვის უნივერსიტეტისა, იღებს სპეციალურად საშარდეს, სიფილისის და კანის სნეულებიან ავადმყოფებს, ყოველ დღე 10 დან—11-მდე და 5-დან 7 საათამდე, რტიშჩევსკის ქ., ს. № 1. ცეცხლის საქრობ რაზმის პირდაპირ. ტელეფონი 711. (50—368—19)

ექიმი
პ. ა. არდაზიანი
იღებს შინაგან და ბავშვების ავადმყოფებს დილის 7—8 ს. და 4—7 ს. საღ. აქვე სწარმოებს ქიმიკო-მიკროსკოპიული გამოკვლევა.
ადრესი: ელისაბედის ქ. № 160. (16—024—5)

ტფილისი, 4 ნოემბერს.

დღევანდელი მდგომარეობა. არ შეგვიძლია დღეს-დღეობით თავისუფლად არ ამოვისუნთქოთ და სიამოვნება არ ვიგრძნოთ: ძლეულ იქმნა ბოროტი და ბნელი ძალა, რომელიც ჩვენის ქვეყნის განადგურებისათვის გაემზადა; გაიფანტა ის საშინელება, რომელიც მაჯლაჯუნასავით დაგვაწვა ყველას, როცა გავიგეთ გურიაში მრავალ ჯარების გაგზავნის ამბავი. დღეს მთელი ჩვენი ქვეყანა წაიკითხავს, რომ ქუთაისის გუბერნიაში ისევ ისპობა სამხედრო წესები და ჯარებიც თავის ადგილას დაბრუნდებიან. გუშინ ასე[illegible]ნო ამბავი წაიკითხა [illegible] ქართლის შესახებ: აქაც ისპობა სამხედრო წესი, ისპობა ხალხის დარბევა და განადგურება. ეს გამარჯვებაა, ნამდვილი და რეალური, რომელმაც იმედიც უნდა გაგვიძლიეროს და ძალაც შეგვმატოს... მაგრამ, აუცილებლად საჭიროა ერთ წუთსაც არ ვივიწყებდეთ საქმეთა ნამდვილს მდგომარეობას, არ გავაზვიადოთ დღევანდელ „გამარჯვების“ მნიშვნელობა.

გუშინაც ვწერდით და დღესაც ვიმეორებთ, რომ რუსეთში დაწყებული ბრძოლა ჯერ არ გათავებულა. ერთი ამბავი მეორეს მოსდევს დაუჯერებელის სისწრაფით და ყველა ეს ამბები უტყუარად მოწმობენ, რომ „ძველი“ და „ახალი“ ჯერ კიდევ პირის-პირ სდგანან, ჯერ კიდევ ეჯიბრებიან ერთმანეთს პოზიციის ხელში ჩასაგდებად. ძველი რეჟიმი გამეფდა პოლონეთში, ძველი რეჟიმი აკლებას უპირებს შიდა რუსეთის სამს გუბერნიას და, „ნოვოსტი“-სა არ იყოს, „პეტერბურგში ისევ დაჰბერა პლევესიომ, ჰაერი მოიწამლა ისევ შლისერბურგის, პეტრო-პავლოვსკის, მათრახისა და ძალმომრეობის აჩრდილით“-ო. ბიუროკრატიას არ სძინავს და, გამხნევებული „პატრიოტთა“ საზარელის გამოქომაგებით, კიდევ აპირობს შეებრძოლოს განმათავისუფლებელ მოძრაობას, რათა, თუ სულ არა, სანახევროდ მაინც, გააქარწყლოს ხალხის გამარჯვება.

ასეთს პირობებში ჩვენს დღევანდელს გამარჯვებას დიდი ფასი არა აქვს. უახლოესი მიზეზები ამ გამარჯვებისა არის: თვით გურულების შეგნებული და წინდახედული მოქმედება, საზოგიდოებრივი აზრი და აგრეთვე (ესეც უნდა ალვიაროთ) კავკასიის უმაღლეს მმართველობის ზოგიერთ წარმომადგენელთა კეთილი სურვილი, რომ მშვიდობიანობა არ დაირღვეს. მაგრამ ეს ისეთი პირობებია, რომელთ არ შეუძლიათ გასჭრან და ფონს გავიდნენ ყოველთვის, თუ-კი დღევანდელი ძირითადი პირობანი არ შეიცვლებიან. მართლაც, სანამ ძველს წესს სრულიად არ დააყრევინებენ იარაღს, რა მნიშვნელობა აქვს ორიოდ ადმინისტრატორის გულკეთილობას, რა ძალა აქვს საზოგადოების თხოვნა-მუდარას ან სანამდის შეუძლია ხალხმა თავი შეიკავოს?!.

დღეს ჩვენს ქვეყანაში მხოლოდ გარეგნულად დამყარდა სიმშვიდე; ხოლო იქ, ცხოვრების სიღრმეში, აღელვებული ზღვა ისევ ბობოქრობს და დამშვიდებულ მოქალაქობრივ მოღვაწეობამდე ჯერ კიდევ არ მივსულვართ. ვინ იცის, რას გვიქადის ხვალინდელი დღე? ვინ იცის, კიდევ რა გაჭირვებაში ჩავარდება გურია თუ ქართლი, კახეთი თუ იმერეთი, საერთოდ მთელი კავკასია და რუსეთი?! არავინ იცის, რადგან „ძირითადი პირობები“, რომელთა დასამხობად ამოძრავდა ხალხი, ჯერ კიდევ ძველებურია, მიუხედავად 17 ოქტომბრის მანიფესტისა. ამ პირობების ნამდვილი შეცვლა, ძველის ნამდვილის დათრგუნვა მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა თვით ხალხის მიერ არჩეულნი წარმომადგენელნი აიღებენ ხელში უფლებას და შეუდგებიან ნამდვილ და არა მოჩვენებით სახალხო წარმომადგენლობითი წესწყობილების შექმნას. მანამდის-კი არავითარი გარანტია არა გვაქვს, რომ გურიაში ხვალვე არ გაგზავნიან ისევ ურიცხვს ჯარს, რომ ქართლს ისევ არ ააკლებინებენ ალფტანგებსა და იმის ყაზახებს!.. ამიტომაც არ გვმართებს დღევანდელ „თავისუფლად სულის ამოთქმის“ გაზვიადება, არამედ გვმართებს ისევ მზადება იერიშისათვის, ბრძოლისათვის. თვით ჩვენი ხალხი სრულიადაც არაა მოწადინებული სისხლი დაღვაროს და მშვიდობიანობა დაარღვიოს. „გურიის ამბებიდანაც“-კი უნდა გაეგო მთავრობას, რომ, პირიქით, მთელი ჩვენი ქვეყანა მოწადინებულია საქმე მშვიდობიანად დაამთავროს. ამისთვის-კი საჭიროა ამ ხალხის წარმომადგენელთა მოწვევა ადგილობრივ (ამიერ-კავკასიის) დამფუძნებელ კრებაში, რომელიც საერთო საიმპერიო დამფუძნებელ კრებასთან ერთად შეიმუშავებს ახალ ძირითად კანონებს ქვეყნის დასამშვიდებლად და განახლებულ წესწყობილების დასამყარებლად.

გლეხთა კავშირები. რუსეთში ოთხმოცდა ორი პროცენტი მცხოვრებლებისა გლეხები არიან. საქართველოში გლეხთა პროცენტი, მეტი თუ არა, ნაკლები არ არის. მრეწველობა და წარმოება რუსეთშიაც და ჩვენშიაც უმთავრესად შინაურს ბაზარზე ასაღებს თავისსაქონელს. ამიტომ გლეხთა ეკონომიური ცხოვრება მთავარი ღერძია, რომლის ირგვლივაც ტრიალებს რუსეთსა და ჩვენში ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრება. ძველი რეჟიმის სისასტიკე ისეთის რეალურის მრისხანებით არავის არა სტანჯავდა, არავის არ აწვა ზურგზე, როგორც გლეხობას.

გლეხთა საკითხის გამწვავება ყოველთვის პირდაპირი მიზეზი ყოფილა რუსეთის ისტორიაში ძირითად რეფორმებისა. ასე იყო 1864 წელს, როდესაც პირველად ჩაისახა რუსეთის კანონმდებლობაში სიტყვა „უფლება“ და რუსის ქვეშევრდომს დიდ მოვალეობასთან ერთად ცოტაოდენი სამოქალაქო უფლებაც მიენიჭა. ასევეა დღეს. სახელმწიფოს შემოსავალთა ხელოვნურად გასადიდებლად გლეხთა განთავისუფლებიდან მოკიდებული დღევანდლამდე იზრდებოდა სხვა და სხვა სახით და სახელით ის გადასახადი, რომელიც ბოლოს და ბოლოს გლეხობას აწვებოდა. ამასთანავე ერთად იზრდებოდა ერთის მხრივ გლეხთა რიცხვი და მეორეს მხრივ გლეხის ეკონომიური დამოკიდებულება მემამულეებისაგან. მიწის სიცოტავე თანდათან მთელი რუსეთის გლეხებისთვის გადაიქცა უკურნებელ სენად, რომელმაც გამოიწვია შიმშილობის გახშირება და ეგრედ წოდებული აგრარული მოძრაობა.

განახლებულმა, გადახალისებულმა რუსეთმა ყოვლის უწინარეს გლეხთა საკითხს უნდა გაუწიოს ანგარიში. ამ საკითხთან შედარებით ყველა სხვა პრაქტიკული მიზანი თანამედროვე მოძრაობისა პატარაა და მცირე მნიშვნელოვანი. ვიდრე ეს დიდი და ძირითადი საკითხი არ იქნება გადაწყვეტილი წესიერად, ცხოვრების ჩაგდება კულტურულ განვითარების ნორმალურს კალაპოტში არავითარ ძალას არ შეუძლიან, არც „თავისუფალ კანონებს“ და არც თოფზარბაზნებს.

საზოგადოებამ ენერგიული მონაწილეობა უნდა მიიღოს საგლეხო საქმის მოწესრიგებაში, მაგრამ ჩვენ აქ იმ საზოგადოებას ვგულისხმობთ, რომელიც თვით გლეხებისაგან შესდგება და არა მათ თანამგრძნობთაგან. გლეხებმა ფართო კავშირები უნდა დააარსონ თავიანთ შორის, უნდა მოაგროვონ თავისი გაფანტული ძალ-ღონე და შეერთებულის მეცადინეობით გაიკაფონ გზა ეხლანდელ გაჭირვებულ მდგომარეობისაგან თავის დასახსნელად.

დღეს ჩვენს გაზეთში იბეჭდება გლეხთა კავშირების პროგრამმა, რომელიც სოციალისტ-ფედერალისტების პროპაგანდისტთა ერთს წრეს შეუდგენია ქუთაისის გუბერნიაში რამდენისამე თვის წინად და სხვა და სხვა ადგილას გადაუცია გლეხებისთვის. რამდენადაც ჩვენ ვიცით, გლეხებს ეს პროგრამა კავშირისა მოსწონებიათ, მაგრამ მოწონება საკმაო არ არის. საჭიროა ადგილობრივ, სოფელ-სოფელ დაარსდეს საგლეხო კავშირები, ადგილობრივ და დაწვრილებით განხილულ იქმნას მოქმედების პროგრამმა და შემდეგ მოხდეს კავშირების შეერთება ერთს დიდს და ძლიერს კავშირად.

წინად თუ აკრძალული იყო ყოველი თავისუფალი სიტყვა და კავშირი, ეხლა ჯალარავის არ უნდა ეშინოდეს პირდაპირის მოქმედებისა და კავშირების დაარსებისა, ეხლა თამამად უნდა გადიშალოს გლეხთა წრეებში პროპაგანდა და მოგროვდეს ძალა აგრარულ რეფორმის მოსახდენად.

ნამდვილი მიზეზი. მთავრობისადმი მიმართულ განცხადებებში არეულობათა შესახებ ერთხმად იმეორებენ, რომ ადმინისტრაცია ხელოვნურად იწვევს და ხელს უწყობს შფოთს. მთავრობა გადაჭრით აცხადებს, რომ ცენტრალურ დაწესებულებათა განკარგულებანი ერთ მიზანს ელტვოდნენ: მშვიდობიანობისა და წესიერების დაცვას.

ჩვენ გვწამს გულწრფელობა ამ სიტყვების მთქმელისა, მაგრამ განა ცარიელი სიტყვები საქმეს უშველის რასმეს! რუსეთის რეჟიმის ნაკლი სწორედ ის არის, რომ კანონიერება იმის მიერ დათრგუნვილია. რუსეთის ადმინისტრაცია გაწვრთნილია თვითნებობის ატმოსფერაში და „ვერ დასტოვებს ძველსა გზასა, ვერცა ძველსა მეგობარსა“. ჩვენ ვეთანხმებით მთავრობის განცხადებას, რომელიც ამბობს: „რაც უნდა საფუძვლიანი იყოს ჩივილი ადმინისტრაციის და პოლიციის ზოგიერთ მოხელეთა მოქმედების გამო, თუნდაც რომ გამართლდეს ეს ჩივილი, მაინც მათი მოქმედება არ შეიძლება ყოფილიყო ერთად-ერთი ან უმთავრესი მიზეზი იმ დაუჯერებელ მოვლენათა, რომელთაც ჰქონდათ ადგილი ამ დღეებში მთელ რუსეთის სივრცეზედ“.

სრულიად მართალია, ზოგიერთა გულმოდგინე ადმინისტრაციის მოხელე ან პოლიცია ვერ შეჰქმნიდა იმ საზარელ ხოცვა-ცარცვას, რომელიც მოაგონებს ადამიანს საშუალო საუკუნოების ბარბაროსობას. ეს მართალია, მაგრამ, მაშ, სად არის ნამდვილი მიზეზი გმინვა-ტირილისა, რომელიც გაისმის რუსეთის სივრცეზედ სატახტო ქალაქიდან დაწყებული უკანასკნელ მიყრუებულ დაბამდე? რა ჰქვიან იმ ძალას, რომელიც მოლოხივით თხოულობს ათასობით ცოცხალ ადამიანების მსხვერპლს? ვინ არის ან ვინ არიან ის ბოროტნი, რომელნიც დაჰმეგობრებიან ჯოჯოხეთურ ძალას და სისხლითა ღებავენ მრავალ ტანჯულ რუსეთის დედამიწას? მთავრობა ეძებს მიზეზს და უპოვნია კიდეც იგი. „ხალხი, დაღლილი გაფიცვებით, უწესოებით და შიშით, რომელიც არ მოისპო 17 ოქტომბრის მანიფესტის შემდეგაც, თავის უკმაყოფილებას აცხადებს იმ გადაჭარბებულ და მძიმე სახით, რომელსაც მიიღებს ხოლმე ჩვეულებრივ ხალხის მოძრაობა“.

მთავრობის აზრით, დამნაშავეა თვით ხალხი, იმისი ბრალია, რომ სისხლი იღვრება, უწესოება სუფევს. ვინ არის ეს ხალხი, რომელიც ვერ გამძღარა სისხლით და წესიერებას უწესოებას ამჯობინებს? მთავრობა თავის განცხადებაში არ ასახელებს, მაგრამ ისეც ცხადია. ეს ის ხალხია, რომელიც უკმაყოფილოა უკიდურეს ელემენტებისა; ეს ის ხალხია, რომელიც სჯერდება 17 ოქტომბრის „მოქალაქობრივ თავისუფლებას“ და სურს მისი განხორციელება; ეს ის ხალხია, რომელიც თავის თავს „პატრიოტებს“, „წესიერების პარტიას“ უწოდებს. ეს ხალხი ვერ შეჰრიგებია იმ „მეშფოთეებს“, რომელთაც სურთ დაღუპონ რუსეთი, დაარღვიონ მისი ერთიანობა, მოსპონ მისი ძლიერება.

აი, მთავრობის თქმით, ვინ არის ნამდვილი მიზეზი დღევანდელ არეულობისა რუსეთში. ასე ფიქრობს მთავრობა, მაგრამ სინამდვილე სხვას გვეუბნება. ის ხალხი, რომელიც „წესიერების“ მცველია, რომელსაც ჰფარავს მთავრობა თავის კალთით, ნამდვილად ბნელი ძალაა, აღჭურვილი წესიერების დასაცველად კი არა, არამედ status quo. ის ხალხი იარაღია იმათ ხელში, ვისაც ესმის თავისუფლების სიმღერაში უკანასკნელ დღის ხმები. ის ხალხი ბარიკადაა, აღმართული მომაკვდავ რეჟიმის მოტრფია-

ლეთა ხელით მედიდურად თავისუფლების მსვლელ გზაზედ. ის ხალხი ბნელი ფარდაა, რომელიც უნდათ ჩამოაფარონ უკუნეთის მოსიყვარულეთ რუსეთში ამომავალ ბრწყინვალე მზეს.

ყველგან, სადაც კი თავი იჩინა შეშინებულ ჰოტების შურისძიებამ, ყველგან ის ხალხი ბრმად, შეუგნებლად მოქმედებდა: ებრძოდა იმათ, ვისაც მოჰქონდა მისთვის მოპოვებული სინათლე; ებრძოცა გაშმაგებულ მხეცივით მხოლოდ იმიტომ, რომ იმის უგან იდგნენ წამქეზებელნი, ძალთა მქონენი.

ჩაიხედეთ გაზეთებში. ადესელი კორესპონდენტი სწერს „ვოზროჟდენიე“-ს: „დუნაის პოლკის აფიცრების ჯგუფი, რომელსაც ჰბრალდებათ ძარცვა-გლეჯისათვის ხელის შეწყობა და ძალადობა, საჯაროდ აცხადებს, რომ ყოველ ჩვენ სურვილს — შეგვეყენებინა ხულიგანების ავაზაკობა — ელობებოდა „დამოუკიდებელი მიზეზები“. ზოგიერთი აფიცრები, რომელნიც უშლიდნენ ელეტას, ეხლა ჰაუპტვახტაში სხედან“.

გაზეთ „სარატოვსკი ცნევნიკ“-ს ატყობინებენ: „20 ოქტომბერს დილით ჰოლანდიის მაღაზიის ახლო ავაზაკთა ბრბოში ჩაერია აფიცერი რამდენისამე სალდათით. აფიცერი ემუქრებოდა რევოლვერით და უნდოდა გაეფანტა ავაზაკები. ამ დროს მოვიდა ჟანდარმთა შტაბ-აფიცერი და მკაცრი შენიშვნა მისცა აფიცერს, დააპატიმრა და პოლიციაში გაჰგზავნა. ცოტა ხნის შემდეგ აფიცერი გაანთავისუფლეს“.

ასეთის ცნობებით არის სავსე გაზეთების ფურცლები „თავისუფლების“ გამოცხადების შემდეგ. შეიძლება ამგვარ ფაქტების მცოდნეს კიდევ ჰქონდეს ეჭვი ვინ არის ნამდვილი მიზეზი დღევანდელ არეულობისა? რუსეთი ორ ბანაკად გაიყო, ორი მოსისხლე მტერი დადგა პირის-პირ, ერთია — ძველი რეჟიმი, მეორე — ახალი წეს-წყობილება. მეორის გამარჯვება სიკვდილია პირველისათვის. დღეს სწყდება საუკუნოდ ბედი ძველის რეჟიმისა. ეს კარგად ესმის იმას და მთელ თავის ძალას ჰკრეფავს საბრძოლველად. ადვილად არ დაუთმობს სიცოცხლეს, ადვილად არ მიჰყიდის გამარჯვებას. სცდება უმაღლესი მთავრობა და იმის აზრის გამომხატველი გრაფი ვიტტე, როცა ფიქრობს, რომ საკმაოა დასჯა ადმინისტრაციის და პოლიციის გალაღებულ მოხელეებისა და ხალხი დამშვიდდება. საქმე ესა თუ ის ადმინისტრატორი ან პოლიციელი არ არის. თუ გინდ ერთ დღეს გადააყენოს ყველა, მოხელენი, მაინც რუსეთს არა ეშველება-რა. პირები კი არ იბრძვიან — იბრძვის ორი პოლიტიკური სისტემა: სისტემა თვითნებობისა, ბატონობისა, [illegible] სა, თანასწორობისა და პასუხის მგებლობისა. ღრმად არის გამდგარი ფესვები ძველ სისტემისა; ამ სისტემას უხვად აქვს საჭმელი, ბნელ ძალებში შენახული; მაგრამ არის შემოზღუდული ჯარითა და თოფ-წამლით.

დღეს ძველი სისტემა ასწლოვან დაფუტუროებულ მუხასავით ამართულა და ამაყად სდგას ქარიშხლის წინაშე... მაგრამ ქარიშხალი ძლიერდება, ქარიშხალი ბობოქრობს, ქარიშხალი რისხდება. უკვე ისმის მუხის შტოების ჰაჰა-ჰუჰი. აგერ ერთი დავარდა მიწაზე, აგერ მეორეც. ქარიშხალი მიამტვრევს შტოებს, გაშმაგებული დაეტაკება ხელდახელ და ძირიან-ფესვიანად ამოჰგლეჯს ასწლოვან მუხას... **ჩ.**

* * *

ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲠᲣᲡᲔᲗᲨᲘ

(პოლიტიკური ქრონიკა).

წერილი მეორე *)

ხალხის განთავისუფლებისათვის მებრძოლნი რუსეთის სახელმწიფოში 1814 წლიდან დაწყებული დღემდის ათი-ათასობით ითვლებიან. ამის გამო, როგორც ამ წერილში, ისე შემდეგ წერილებშიაც, ჩვენ შევეხებით მხოლოდ დიდ პოლიტიკურ პროცესებს, რომელნიც დაკავშირებულნი არიან რუსეთის სხვა და სხვა ეპოქასთან. ამასთან ჩვენ არ შევეხებით არც პოლონეთის აჯანყებას 1830 წ., რადგან ეს აჯანყება თითქმის მთლად ნაციონალურ და სეპარატისტულ ნიადაგზე იყო აღმოცენებული, თუმცა-კი ამ მოძრაობას რუსეთის რევოლიუციონერებიც ბევრად ხელს უწყობდნენ **).

1825 წლიდან 1848 წლამდის რუსეთში სარევოლიუციო მოძრაობა თითქმის შეჩერდა. რასაკვირველია, მოძრაობა ამ ხანებში არ ჩამქრალა, პირიქით, იგი ნელ-ნელა ღუოდა და 1848—49 წ.წ. უფრო გამორკვეულად იჩინა თავი.

1848 წელს ევროპაში მომხდარმა რევოლიუციამ დიდი გავლენა იქონია რუსეთშიაც. ხელ-ახლა გაცხოველდა რევოლიუციონური მოქმედება და დაარსდა სხვა და სხვა საიდუმლო წრე, რომელთაც თითქმის ერთი და იგივე პროგრამა ჰქონდათ — ხალხის პოლიტიკური განთავისუფლება. 1848 წლის დამლევს ტიტულიარნი სოვეტნიკმა ბუტაშევიჩ-პეტრაშევსკიმ, ლეიბ-გვარდიის პორუჩიკის მომბელისა, შტაბს-კაპიტ. ლვოვისა და აზნაურის სპეშნიოვის თანაშემწეობით დაარსა საიდუმლო პოლიტიკური წრე, რომელსაც მომბელის წინადადებით სახელად **„საიდუმლო ამხანაგობა“** უწოდეს.

ამ წრის მიზანი იყო: გამოცვლა სახელმწიფო წესწყობილებისა, დამხობა თვითმპყრობელობისა და დაარსება საპარლამენტო წესწყობილებისა. მოუსვენარი და ხალხის წრფელი გულშემატკივარი პეტრაშევსკი, ევროპის მოძრაობით გატაცებული, მედგრად და შეუპოვრად შეუდგა საიდუმლო წრეების გავრცელებას, მაგრამ მაშინ ისეთი დრო იყო, რომ შეუძლებელი იყო თვითმპყრობელობის დამხობაზე ქადაგება ქალაქის ანუ სოფლის მუშებს შორის — ღმერთსა და ხელმწიფეზე იმ დროს ხალხში ლაპარაკი არ შეიძლებოდა. ამის გამო ქადაგებდნენ იქ, სადაც-კი მოხერხდებოდა და უმეტესად-კი ჯარში.

პეტრაშევსკის თავგანწირულ მოქმედების გამოსაჩხრეკად ნიკოლოზ პირველის ბრძანებით დაინიშნა „საიდუმლო კომისია“ გენერალ ნაბოკოვის თავმჯდომარეობით. ჯაშუშების და გაწრთვნილ საიდუმლო აგენტების შემწეობით დაიჭირეს 23 კაცი და თვით პეტრაშევსკიც.

[illegible] რიატმა“ გადაუწყვიტა 21 კაცს დახვრეტა. ხოლო ორს მხოლოდ ციხეში ჯდომა. ნიკოლოზ მეფემ აპატია ყველას სიკვდილით დასჯა და ამის მაგიერ გადაუწყვიტა კატორგა სხვა და სხვა ვადით, მხოლოდ პეტრაშევსკის მიუსაჯა სამუდამო კატორგა.

სხვათა შორის პეტრაშევსკის პროცესში გარეული იყო ლეიბ-გვარდიის პორუჩიკი ალექსანდრე პალმი, რომელმაც შეცდომათ აღიარა თავისი მოქმედება პეტრაშევსკისთან. ამის გამო პალმს აპატიეს ჩამოხრჩობა და კატორგა და გადაუწყვიტეს რვა თვით საპყრობილეში ჯდომა ეს პალმი გახლდათ მამა ცნობილ ბათუმელ პალმისა.

„გენერალ-აუდიტორიატმა“ შემდეგის სიტყვებით დაასრულა ეგრედ წოდებული პეტრაშეველების პროცესი:

„დეე, ეს საქმე მაგალითად დარჩეს მოზარდ თაობისთვის, რომელიც შეიძლება დღეს შეცდომაში იყოს, მაგრამ დანაშაულობა კი, ჯერ კიდევ არ ჩაუდენია. ვაძლევთ წინადადებას მშობლებს, რომ დიდი ყურადღება მიაქციონ შვილების აღზრდის საქმეში ზნეობრივ მხარეს. დეე, მშობლებმა ჩააგონონ თავიანთ შვილებს, რომ მარტო თვითმპყრობელ მეფის სიყვარული შეიცავს ყველასთვის კეთილდღეობას“.

რასაკვირველია, როგორც მოსალოდნელი იყო, ამ ყალბს სიტყვებს არავითარი გავლენა არა ჰქონია. არ გაუვლია დიდ ხანს, რომ სარევოლიუციო ძალამ ერთი-ორად იფეთქა და 1862 წლიდან საომარ ასპარეზზე გამოიყვანა იმისთანა მსოფლიო გენიოსები, როგორნიც იყვნენ ბაკუნინი („Апостоль всемірнаго разрушенія“), ჩერნიშევსკი, (ეს „მამა რუსეთის სოციალიზმისა“) და სხვანი. **მ—ხი.** *)

---

*) იხ. „ცნობ. ფურ.“ № 2937

**) თუ დრო ჩავიგდეთ ხელთ, პოლონეთის მოძრაობას ცალკე წერილებს ვუძღვნით. ავტ.

*) პირველ წერილზე, რომელიც დაიბეჭდა მე-2937 ნომერში, შეცდომით მოწერილი იყო „მ—რი“ „მ—ხი“-ს მაგიერად. რედაქ.

„ცნ. ფურცლის“ რედაქცია სთხოვს იმ ხელისმომწერთ, რომელთაც სრულად არ შემოუტანიათ ფული, შემოიტანონ ნოემბრის 10 რიცხვამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთის გზავნა მოესპობათ.

* * *

ᲒᲐᲠᲔ-ᲙᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲪᲘᲐ ᲜᲐᲛᲔᲡᲢᲜᲘᲙᲗᲐᲜ

როგორც გუშინ დილით უთხრეს გარეკახელების დეპუტაციას, საღამოს ხუთს საათზედ მოდით ხუთი კაცი და ნამესტნიკი მაშინ მიგიღებთო, მართლაც, ხუთ საათზე მივიდა ნამესტნიკის სასახლესთან შვიდი კაცი ივრისხეველების დეპუტაციიდან. შევიდნენ და მაღლა ზალის კარებთან შეხვდა მათ სულთან-კრიმ-გირეი თარჯიმანით. სულთან-კრიმ-გირეიმ ყველას ხელი ჩამოართვა და „დიდს ზალაში“ მიიწვია სოფლელები, თან უთხრა: მე ნამესტნიკს მოვახსენე, რომ თქვენ მადლობის გადასახდელად მოხვედითო.

შუა ზალაში გაჩერდნენ ნამესტნიკის მოლოდინში. ამ დროს ზალაში ნამესტნიკის საკუთარი მდივნებიც იყვნენ. რამდენიმე წუთის შემდეგ გამოვიდა ნამესტნიკიც, ახლდნენ სულთან-კრიმ-გირეი და მდივნები. დეპუტაციამ სალამი უძღვნა ქართულად. ნამესტნიკმაც გადუხადა სამაგიერო, მიუახლოვდა და მიჰმართა.

— აბა, რისთვის მოსულხართ?

ნამესტნიკი არ იყო ცუდს გუნებაზედ. სახე უღიმოდა; უფრო კი ირონიის გამომხატველი იყო, თითქოს ამ გლეხებს ეუბნებოდა: თქვენ ვინა ხართ, რომ მოსულხართ, რა უნდა მითხრათ საგულისხმიეროო“.

— აბა, რისთვის მოსულხართო? — ჰკითხა [illegible]

მაშინ ერთმა ხნიერმა გლეხმა დაიწყო ლაპარაკი: ამ ორმოცის წლის წინადაც აქ იყავით, ჩვენს ქვეყანას იცნობთ და ხელმწიფემაც, ალბად, იმიტომ დაგნიშნათ ნამესტნიკად. მხოლოდ ეხლა ჩვენ ქვეყანაში არეულ-დარეულობაა. მაგრამ დარწმუნებულნი ვართ, რომ ჩვენს მხარეს მალე ეღირსება დამშვიდება-დაწყნარება. გორის მაზრას ახსენით ამ დღეებში ეგზეკუცია, რამაც ძალიან გაგვახარა. ეგეთივე იმედი გვინდა ვიქონიოთ გურიის შესახებაც, სადაც ამ ჟამად ჯარი მიდის და რამაც ჩვენი ხალხი ძალიან ააღელვა. გთხოვთ, გურიასაც ახსნათ მონობის ჯაჭვები, ჯარი გამოიყვანოთ, რომ ჩვენც მოვისვენოთო.

გრაფმა ვორონცოვმა უპასუხა, ამ ორმოცის წლის წინად რომ გიცნობდი, მაშინ შენ მშვიდი, წყნარი კაცი იყავი, მაგრამ ეხლა გხედავ, სულ გამოცვლილხარ, ის აღარა ხარ. გურიის დამშვიდება გურულებზედაც არის დამოკიდებული, უნდა იმათ გონიერება იხმარონ და ჩემს წადილს ხელი შეუწყონ, რომ იქ სიმშვიდე დამყარდესო.

მოხუცებულმა გლეხმა უპასუხა: ჩემი გამოცვლა საკვირველი არ არის, რადგან გაჭირვებას რა არ შეუძლიან! ხმასაც არ ამოვიღებდით, მაგრამ ამ გაბედულობამდის დიდმა, მეტის-მეტმა გაჭირვებამ მიგვიყვანაო.

მეორემ უთხრა ნამესტნიკს: ჩვენი საქართველო! ხალხი სულ იმას ტირის და ჩივის, რომ მიწა არა გვაქვს, მაგრამ ყურადღება არავინ მიაქცია. სამაგიეროდ, თუ მართლა იყო სადმე თავისუფალი მიწა, სულ უცხო ხალხს ასახლებდა მთავრობა და ჩვენებურს კი ჩვენშივე გადასახლების ყოველ ღონისძიებას უსპობდა. გურულების საქმე ამ მხრივ უფრო საგულისხმიეროა. გურიაში იმისთანა სივიწროვეა მიწისა, რომ საბრალო გურულებს არ მოეპოვებათ საკუთარი ერთი მტკაველი მიწაც-კი, რომ თავიანთი მიცვალებული არხეინად დაასაფლავონ. მთელი შავი ზღვის პირი კი თავისუფალია და ურიგდებათ ვიღაც გადამთიელებს. გურულებს ვისთვის რა დაუშავებიათ! თუ გურულები დამნაშავენი არიან რაშიმე, ვიხოულობთ ეგ საქმე განსახილველად და გადასაწყვეტად გადაეცეს ხალხის წარმომადგენელთ. მანამდის კი ახსენით საომარი წესები და გამოიყვანეთ ჯარი.

ვორონცოვმა სთქვა: რაც მე ჩამოველ, აკი გადმოსახლება შესწყდა. მიწის სიმცირის საქმე მომავალში გადასწყდება, რასაც დაეხმარება საგლეხო ბანკი, რომელიც იანვარში გაიხსნებაო. გურიის შესახებ კი ვცდილობთ, სისხლი არ დაიღვაროს და სიწყნარე დამყარდესო.

ბოლოს ერთმა წარმომადგენელმა სთქვა, გავრცელებულია ის აზრი, ვითომ ქართველობა მთლად და კერძოდ გურულები რუსეთისაგან განშორებით იყვნენ გამსჭვალულნი...

გრ. ვორონცოვმა სიტყვა გააწყვეტინა და სთქვა, მე დარწმუნებული ვარ, რომ ქართველების სეპარატიზმი სიცრუეა და არც სასარგებლო იქნება თქვენთვისაო, — დაუმატა ღიმილით ნამესტნიკმა.

დეპუტატები გამოვიდნენ. გამოსავალში მწერალმა ჩასწერა მათი სახელი, გვარი და საიდან იყვნენ. ჩამოვიდა სულ ორმოცდახუთი კაცი.

* * *

ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ!

ქართველ ქალთა კავშირის ბიურო მიმართავს ყველას და სთხოვს დახმარება აღმოუჩინონ შეძლებისა და გვარად ფულით, ტანისამოსით ან სხვა საშუალებით იმ უკიდურეს მდგომარეობაში ჩავარდნილ გურულებს და საქართველოს სხვა კუთხეების ხალხს, რომელთაც ბევრი უბედურება გადახდათ ამ ბოლო დროს და ვისი ოჯახებიც სრულიად უნუგეშოდ არიან დარჩენილნი.

შემოწირულობა მიიღება ტფილისში: ან. წერეთელთან „ჯეჯილის“ რედაქციაში (არტილერიის ქუჩა, № 5), ან. გედევანიშვილთან (ყორღანოვის ქუჩა, № 20), ა. ვახვახიშვილთან („ცნობის ფურცლის“ რედ.), ოზურგეთში: ნინო ნაკაშიძესთან.

* * *

ᲓᲐᲖᲐᲠᲐᲚᲔᲑᲣᲚ ᲒᲣᲠᲣᲚᲗᲐ ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲓ

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ მიიღოთ ჩემის შეძლებიდან ჯერ-ჯერობით ათი მანეთი ხალხის თავისუფლებისთვის თავ-განწირულ დაზარალებულ გურულთა სასარგებლოდ.

ვასილა რაჭველი.

—

რედაქციისაგან: დღემდე ჩვენს რედაქციაში გურულების სასარგებლოდ შემოვიდა სულ 25 მანეთი.

* * *

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

✦ დღეს, 4 ოქტომბერს, დილის 7 ს. 15 წ. განსაკუთრებულ მატარებლით გაემგზავრება სამტრედიაში ნამესტნიკის თანაშემწე **გენერალი მალამა.**

✦ როგორც ვუშინ ვწერდით, გაუქმდა ქუთაისის გუბერნიაში **საომარ დროის წესები და გურიაში ჯარის გაგზავნა.** ამის შესახებ ოფიციალურ გაზეთში დაბეჭდილია ნამესტნიკის განცხადება.

✦ გუშინვე შეაჩერეს **დასავლეთ საქართველოში გასაგზავნი ჯარი.** ტფილისის სადგურზე შეჩერებულ იქნა ოთხი სამხედრო მატარებელი. ყველა სადგურზე თითქმის სამხედრო მატარებლებია და ესენიც შეაჩერეს და უბრძანეს უკანვე დაბრუნება.

✦ რადგან საომარ დროის წესები აიხსნა და გურიიდანაც უკან აბრუნებენ ჯარს, ამიერ-კავკასიის რკინის გზის მოსამსახურეთა მიერ არჩეულმა დელეგატებმა დეპეშები დაჰგზავნეს სადგურებზე, რომ მოსამსახურეებმა და მუშებმა ყველგან **მუშაობა განაახლონ.**

✦ როგორც ვწერდით, **სამტრედიაში დიდძალ ჯარს მოუყარეს თავი.** ჯარი-კი ჩაიყვანეს, მაგრამ საკმაო სურსათი არ მიაწოდეს. ეხლა, როგორც იქიდან სარწმუნოთ გვატყობინებენ, ჯარი უსურსათოთ დიდ გაჭირვებაშია. სალდათებს შორის უკმაყოფილებაა თურმე. შეიძლება დიდი უბედურება მოხდეს და ჯარმა ჯავრი მშვიდობიან მცხოვრებლებზე იყაროს.

✦ გუშინ, 3 ნოემბერს, ტფილისიდან ბათუმამდე წავიდა საგანგებო მატარებელი, რომლითაც წავიდნენ **რკინის გზის დელეგატები და მათთან ერთად გუბერნატორი სტაროსელსკი.** ეს მატარებელი დიდის ამბით გაისტუმრეს მუშებმა და გზის მოხელეებმა. ვოკზლიდან დაწყებული სახელოსნომდის მატარებელი ნელა მიდიოდა და ხალხი მუსიკით მისდევდა.

✦ **ფოთიდან** გვატყობინებენ, ქალაქის თავმა პასუხი მიიღო, რომ საომარ დროის წესებისაგან განთავისუფლებულია ქუთაისის გუბერნია და ჯარებსაც გამოიყვანენ. პოლიტიკური გაფიცვა გათავდა. გზებზე დაიწყო მატარებლების მიმოსვლა. ტფილისის ფოსტა, 26 გამოგზავნილი, მოვიდა. ოდესაში მოკლულ საბახტარაშვილის დასაფლავებას რამდენიმე ათასი კაცი დაესწრო. მრავალი გვირგვინებია. წარმოითქვა რამდენიმე სიტყვა.

✦ გუშინა ვწერდით, რომ უქმდება კავკასიის პოლიციის გამგის გენ. შირინკინის კანცელარიაო. ეხლა, როგორც გადმოგვცეს, უქმდება არა მარტო კანცელარია, არამედ **მთლად თანამდებობა პოლიციის გამგისა.**

✦ გუშინ უკვე ვწერდით, რომ **ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა** მთავარმა ბიურომ მოსთხოვა გრაფ ვიტტეს გადააყენოს ფოსტა-ტელეგრაფის მთავარ სამმართველოს უფროსი ბ-ნ სევასტიანოვი, რადგან იგი ხელს უშლის მოხელეთა ორგანიზაციების მოწყობას. ტფილისში მიღებულ ცნობით, ვიტტეს უარი უთქვამს ბიუროს მოთხოვნილებაზე.

ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

ᲒᲚᲔᲮᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ

ამ დღეებში *) ჩვენ დავბეჭდეთ წერილი „სრულიად რუსეთის გლეხთა კავშირი“-ს შესახებ. დღევანდელ ისტორიულ მომენტში გლეხთა გამოსვლა შეგნებულ პოლიტიკურ მუშაობის ასპარეზზე მეტად დიდ-მნიშვნელოვანი ფაქტია, რომელსაც დიდი ყურადღება უნდა მიექცეს. ამიტომ, ჩვენ თვალყურს ვადევნებთ რუსეთის გლეხობის ახალ მოძრაობას და ყოველ თვალსაჩინო ცნობას განვუზიარებთ მკითხველთ იმის შესახებ. დღეს-კი აღვნიშნავთ, რომ ამგვარივე ცდა ჩვენშიაც იყო. ქართველ ს.-ფედერალისტების ერთ-ერთ წრეს მოუწადინებია ჩვენებურ გლეხთა შორის კავშირების დაარსება, რისთვისაც პროგრამმაც შეუდგენია. ვბეჭდავთ აქ ამ პროგრამას სრულად, ხოლო შემდეგში დავუბრუნდებით და ჩვენის მხრით ორიოდე მოსაზრებას წარმოვთქვამთ ამის გამო. ეხლა ვიტყვით მხოლოდ, რომ ამ პროგრამას და რუსეთის გლეხთა კავშირის პროგრამას შორის ბევრი რამ არის საერთო, ძალიან წააგვან ერთმანეთს, თუმცა ერთმანეთის დამოუკიდებლად შეუდგენიათ ინიციატორთ. რასაკვირველია, განსხვავებაც არის, რომელიც გამოუწვევია რუსის და ჩვენის გლეხის მდგომარეობათა განსხვავებას...

Პ Რ Ო Გ Რ Ა Მ Მ Ა.

1. ჩვენ მიწის მუშა ხალხი ვართ ჩვენთვის მიწაა ერთად-ერთი სახსარი, ერთად-ერთი წყარო, რომელმაც უნდა გვარჩინოს. მაგრამ ჩვენი უბედურება ის არის, რომ მიწა საკმაოდ არა გვაქვს და იძულებულნი ვართ სხვისი მიწა დავიმუშაოთ და დიდი ღალა ვაძლიოთ. დღე და ღამე გასწორებული გვაქვს, მუდამ ვთოხნით და ვბარავთ, მიწაშია ჩვენი ოფლი და სისხლი ჩანთხეული, მაგრამ მაინც მშიერნი ვართ და ღატაკნი, რადგან ჩვენი ნაოფლარი სხვებს მიაქვთ: ზოგი მემამულეს, ზოგი ხაზინას, ზოგი ვის და ზოგი ვის. მიწა იმისი უნდა იყოს, ვინც თავის ხელით დაამუშავებს; მიწის ნაყოფი მთლად იმას უნდა ეკუთვნოდეს, ვისაც მოჰყავს თავის ჯაფით, თავის ოფლით. საქართველოში ბევრია თავისუფალი მიწა, ე. ი. იმისთანა მიწა, რომელსაც თვითონ მესაკუთრე თავის ხელით არ მუშაობს — მაგალითად: სახაზინო მიწები, საუფლისწულო, სამონასტრო და საეკლესიო, აგრეთვე მემამულეების მიწები, ამ მიწებს ისევ ჩვენისთანა ხალხი მუშაობს, მაგრამ იმის ნაოფლარის დიდი ნაწილი მესაკუთრეებს მიაქვთ და მშრომელი მშიერი რჩება. ეს უსამართლობაა. ყველა ზემორე აღნიშნული თავისუფალი მიწა, რაც საქართველოს საზღვრებში მოიპოვება, სახაზინოა იგი თუ საუფლისწულო, სამონასტრო-საეკლესიო, თუ მემამულეებისა, საქართველოს მიწის მუშა ხალხის საერთო სამფლობელოთ უნდა დარჩეს.

2. ცოლშვილი ვერ გვირჩენია, შიმშილით ვიხოცებით, არ გვაცვია და არა გვხურავს, და კიდევ ათასნაირ გადასახადით ვართ დატვირთულნი. მთავრობამ იცის, რომ ღატაკი ვართ და მაინც ძალად გვახდევინებს ამ უზომო გადასახადებს: გვიყიდიან მარჩენალ ხარს თუ ძროხას, სამუშაო იარაღს, ქვეშაგებს, ქურჭლეულობას და სხვას. ამისთანა მდგომარეობა აუტანელია! გადასახადი შემოსავალზე უნდა იყოს დამოკიდებული: ვისაც მეტი შემოსავალი აქვს, მეტს უნდა ახდევინებდნენ, ვისაც ნაკლები აქვს — ნაკლებს; ღარიბსა და ღატაკს სრულიად არაფერს არ უნდა ახდევინებდნენ.

3. მთავრობა ბაჟს ადებს ხოლმე ხალხისათვის აუცილებლად საჭირო საგნებს, ამიტომაც ეს საგნები ძვირად იყიდება და ეს ზედმეტი ფასი, ეს ბაჟები ისევ ჩვენ — მყიდველ ხალხს, გვაწვება კისერზე — და ამნაირად უამისოდაც სამძიმო პირდაპირ გადასახადს ეს არა პირდაპირი გადასახადიც ზედ ემატება. ხალხისთვის აუცილებლად საჭირო საგნებზე ბაჟები უნდა მოისპოს.

4. რასაც ვიხდით, ისიც სადღაც ისე ჰქრება, რომ ჩვენ ვერც კი ვტყობილობთ. ჩვენში არაფერი კეთდება რიგზე: არც სკოლები, არც გზები, არც საავადმყოფოები და არც სხვა რამ დახმარებას გვიწევს მთავრობა იმ ფულით, რომელსაც ჩვენ ასეთის ვაი-ვაგლახით გვართმევენ და გვაღატაკებენ. ამისათვის უნდა გვქონდეს ჩვენი საკუთარი ადგილობრივი თვითმმართველობა (ერობა), რომელიც იზრუნებს ჩვენის საზოგადო საჭიროებებისათვის იმ ფულით, რომელსაც ხალხი იხდის.

5. რასაც ჩვენ გვახდევინებენ, ზოგი მდიდართა ჯიბეში მიდის, ზოგი მმართველთა ჯიბეში, ზოგი-კი მთავრობის მიერ დანიშნულ მოხელეების ჯამაგირებში. ამ მოხელეებს-კი გვინიშნავენ ჩვენდა დაუკითხავად, მათ არ იციან ჩვენი ენა, ზნეჩვეულება, საჭიროებანი, მათ სძაგთ ხალხი, მშრომელი ხალხი, და მხოლოდ იმასა ფიქრობენ, როგორმე მთავრობას ასიამოვნონ და ადგილი არ დაჰკარგონ: ისინი ხალხს ავიწროვებენ, შეურაცხყოფენ და არბევენ მთავრობის სასიამოვნოდ და ხან კიდევ თავის გამორჩენისათვის. ასეთი მოხელენი ჩვენ არ გვინდა, ისინი არიან ქვეყნის ამომგდებნი და დამღუპველნი; ადგილობრივ ადმინისტრაციის მოხელენი უნდა ირჩეოდნენ თვით ხალხის მიერ, ან იმ დაწესებულებათა მიერ, რომელთაც ხალხი მიანდობს ამას, და დათხოვნაც ხალხის სურვილზე უნდა იყოს დამოკიდებული.

6. მღვდელიც ისეთ მდგომარეობაშია ჩაყენებული, რომ მთავრობის სიამოვნებასა და თავის საკუთარ გამორჩენაზე უფრო ზრუნავს, ვიდრე ჩვენს კეთილ დღეობაზე. იმის სასარგებლოთ გადასახადები-კი ხალხს მძიმე ტვირთად აწევს. სარწმუნოება სინიდისის საქმეა და ამიტომ სავალდებულო არავისათვის არ უნდა იყოს: მღვდელი და ეკლესია იმათ იყოლიონ და იმათ შეინახონ, ვისაც სურთ, ვისაც მათი სამსახური ესაჭიროებათ.

7. მთელი ქვეყანა ჩვენით, მშრომელ ხალხით რჩება, ჩვენ, მშრომელი ხალხი, ვასაზრდოებთ მთელ ქვეყანას და ყველა-კი ჩვენი ბატონი და მჩაგვრელია, და ამ მჩაგვრელთა წინააღმდეგ სამართალსაც ვერსად ვპოულობთ! სასამართლოში მთავრობის მოხელენი სხედან, რომელნიც ვერ იცნობენ ხალხს, არ იციან არც მისი ზნე-ჩვეულება, არც მისი ცხოვრების პირობები, არც მისი ენა. არც ჩვენ გვესმის რამე სასამართლოში. ჩვენ ვერ ვპოულობთ სამართალს, ვიჩაგრებით და სასამართლოს ხარჯები კიდევ უფრო გვაღარიბებს და გვაღატაკებს. აღარ გვინდა ასეთი სასამართლო! უნდა შემოღებულ იქნას ნაფიც მსაჯულთა სამართალი; მომრიგებელ მოსამართლეებს ხალხი უნდა ირჩევდეს და ისინი მთავრობისაგან დამოკიდებულნი არ უნდა იყვნენ, სამართალი უნდა იყოს უსასყიდლო, სწრაფი, საჯარო და

---

*) იხ. „ცნობ. ფურც.“ № 2938.

◆ სხვა და სხვა დაწესებულების **მოხელეთა მიტინგი** დანიშნული იყო 2 ნოემბრის ნაშუადღევის 5 საათისთვის მამადავითის მთაზე. ამ დროსთვის შეიკრიბა მხოლოდ 200 კაცი და ქალი. ბოლოლა „ჩინოვნიკები“ არ გამოცხადნენ, მოვიდა მხოლოდ წვრილ-ფეხობა. არავინ იცოდა, ვინ იყო თავმჯდომარე. გაიმართა არეული ლაპარაკი. ერთის საათის თათბირის შემდეგ დაადგინეს, მიტინგი უფრო წესიერად მოაწყონ კვირას, 6 ნოემბერს, ამავე „მოედანზე, დილის 10 საათზე. ამ გადაწყვეტილების შემდეგ ავიდა სკამზე ერთი სალდათი და სთქვა: „ნება მიბოძეთ „ამხანაგები“ გიწოდოთ. ამხანაგებო! ჩემმა ამხანაგებმა ამომირჩიეს და დამავალეს დღევანდელს თქვენს მიტინგზე გამოვცხადდე. უნდა გაცნობოთ სალდათის გაჭირვებული მდგომარეობა. თქვენ მტრებად გვთვლით, მაგრამ შემცდარნი ხართ. ჩემმა ამხანაგებმა დამავალეს მეგობრობა და ძმობა გამოგიცხადოთ. ვიბრძოლოთ უფლებათა მოსაპოვებლად. ჩვენ მეტად ცუდ მდგომარეობაში ვართ. თითო სალდათის შენახვა სახელმწიფოს დღეში ერთ შაურად უჯდება. რა უნდა იყოს მდგომარეობა კაცისა, რომელიც ერთ შაურზეა დამყარებული. გთხოვთ, როცა თქვენს საჭიროებაზე გექნება ლაპარაკი, ჩვენც არ დაგვტოვოთ და ამხანაგებად ჩაგვთვალოთ“. ამ სიტყვამ ხანგრძლივი ტაშის ცემა და „ვაშას“ ძახილით გამოიწვია. კრება 7 საათზე დაიშალა. ცოტა ხალხი მიტინგს იმიტომ დაესწრო, რომ, როგორც ახსნეს, თურმე ზოგიერთ ბოლოლს განკარგულება მოუხდენია, „გიბძანებთ, მიტინგს არ დაესწროთ, თორემ დაისჯებითო“. ერთ ბოლოლის ასეთ განკარგულებას სიტყვა-სიტყვით დავბეჭდავთ. შემდეგ მიტინგის მოსაწყობად არჩეულ იქმნა ბიურო. ამ ბიუროში თითო დაწესებულიდან ორ-ორი კაცი იქნება.

◆ კუჩენბახის მაღაზიის (გოლოვინის პროსპექტზე) პატრონმა აცნობა პოლიციას, რომ 31 ოქტომბრის ღამეს მანთაშევის სახლში ჩაყენებულმა ელისავეტპოლის პოლკის სალდათებმა მაღაზია გამიტეხესო. მაღაზია გაუტეხიათ „პურ-ღვინოს“ ეზოდან. გამოუნგრევიათ აგურით აშენებული კედელი და შესულან შიგ. გაუტეხიათ 780 მანეთად ღირებული კასსა და წაუღიათ 1 მან. 50 კაპ. ამას გარდა წაუღიათ 66 გირვანქა კარაქი და 32 მანეთის ყველი. გაუტეხიათ აგრეთვე მსახურის კასა და 35 მან. წაუღიათ. როგორც „პურ-ღვინოს“ პატრონი აცხადებს, სალდათებს გაუტეხიათ საბილიარდე. ბილიარდებისათვის გადაუძვრიათ მაუდი და თუ რამე საფასოვანი ყოფილა, წაუღიათ.

◆ როგორც გუშინ ვწერდით, 2 ნოემბერს, ნაშუადღევის 4 საათზედ, ყვირილაში ერთმანეთს დაეჯახა **ორი სამხედრო მატარებელი.** მოკვდა რვა კაცი, დაშავდა ოცდახუთი. ეს მეორე ეშელონი იყო გრუზინსკის პოლკისა, რომელიც სამტრედიას მიდიოდა. მიზეზად ისრის ცუდად დაყენებას ასახელებენ. მეისრედ ჯარის-კაცი იყო.

◆ ახალ სენაკში რკინის გზის მე-29 ვერსზე 1 ნოემბრის ღამეს ვილაცეებს აეხსნათ **ოთხი რელსი და წყალში გადაეყარათ**, ამასთან დაეჭრათ სატელეგრაფო მავთულები.

◆ ქუთაისში 2 ნოემბერს, დილის 11 საათზე, ტფილისის ქუჩაზედ **ორის ტყვიით მოჰკლეს სადგურის უფროსის** თანაშემწე კუზნეცოვი.

◆ გუშინ, 2 ნოემბერს, ნაშუადღევის 3 საათზედ, გავიდა ბათუმისკენ **სახალხო მატარებელი.**

◆ ტფ. საბჭოს ხმოსანმა ა. ს. ბაბოვმა გუშინ მოხსენება წარუდგინა გამგეობას თავისუფალ **სახალხო უნივერსიტეტისა** და საპოლიტეხნიკო მუზეუმის დაარსების შესახებ. ხმოსნის აზრით, ამ დაწესებულებათა დასაარსებლად ქალაქს დასჭირდება ერთ ხანად 150—200,000 მანეთი, ხოლო ყოველ წლიურად 10—15,000 მან.

◆ ხმ. ხატისოვმა გუშინ მოხსენება წარუდგინა გამგეობას **მიტინგებისათვის სახლის შეძენისა** და სახალხო ლექციების მოწყობის შესახებ. ხმოსანი წინადადებას აძლევს საბჭოს აარჩიოს ამ საქმის მოსაწყობად კომისია.

◆ შაბათს, 5 ნოემბერს, ტფ. ვაჟთა მესამე გიმნაზიის მოსწავლენი და მასწავლებელნი **მიტინგს მართავენ.**

◆ კავკასიის ნამესტნიკის კანცელარიის მოხელეს მერკულოვს ამას წინად თავი დაუნებებია სამსახურისათვის და ავლაბარში სასმელების დუქანი გაუხსნია. მერკულოვს საზოგადო გაფიცვაში მონაწილეობა არ მიუღია და დუქანი არ დაუკეტია. 2 ნოემბერს, ღამის 11 საათზე, ვილაცამ რამდენჯერმე **დაახალა რევოლვერი მერკულოვს და მოჰკლა.**

◆ გუშინ, 3 ნოემბერს, ავჭალის ქუჩაზე შემდეგი ამბავი მოხდა. მთვრალი პოლიციელი ლაკატიშვილი დამდგარიყო ქუჩაში და გატენილი რევოლვერი დაუმიზნა ერთ მახინჯ კაცისათვის. ამ დროს რუდენკოს მიერ უმიზეზოდ მოკლულ ამხანაგის დასაფლავების შემდეგ ქუჩაში მოდიოდნენ „ქარ. გამომც. ამხანაგობის“ სტამბის მომუშავენი, რომელთაც უტაცნიათ ხელი გალადებულ პოლიციელისთვის და პოლიციის ნაწილში წაუყვანიათ. ლაკატიშვილს იქაც ამოუღია რევოლვერი და დაუპირებია სროლა, მაგრამ რევოლვერი წაურთმევიათ. როდესაც ყოველივე ბოქაულისთვის უცნობებიათ, ამ უკანასკნელს უთქვამს, დღეიდან უეჭველად დათხოვნილი იქნება ლაკატაშვილიო.

◆ მოგვივიდა საყმაწვილო ჟურნალის „ჯეჯილის“ მე-IX ნომერი. შინაარსი:

ხედავ, ბუდეს როგორ იცავს. სურათი. ბავშვი და ჩიტა ლექსი—ნინო ნაკაშიძესი. ორი ხარი იგავი—ალ. მირიანაშვილისა. ერთი ქილა ნაღები (ფრანგულიდან)—ტასოსი. დიოგენი (ნათარგმნი)—ს. დათეშიძესი. ხელმწიფის ქალი ხალხური ზღაპარი ჩაწერილი—ან—მანისა. ყურძენი დამწიფდა! ან. წერეთლისა. სახუმარო გასართობი და ახსნა. სონა ციციშვილის ქალის სახსოვრათ—აკაკისა. სპილენძის საათი ფრანგულიდან—ალ. ბეშკენაძესი. უგულო ბავშვი მოთხრობა მონგომერისა—ელ. წერეთლისა. ყრუ-მუნჯების და ბრმების მეგობრები—გაგრძელება—ან. წერეთლისა. მეფე გიორგი ბრწყინვალე—დ. კარიჭაშვილისა. ჯვაროსნული გალაშქრება ბავშვებისა—გაგრძელება ე. სისოევისა. (თარგმანი)—ნ. ენუქიძისა. ფიზიკური გეოგრაფია პროფესორ გეიკისა—სან—ინისა.

◆ სად. ბალაჯარი. 1 ნოემბერს, მანევრების დროს, მატარებელმა გასრისა გაბრიელ მაკაროვი.

◆ მუხრანის ქუჩაზე, 1 ნოემბერს, ნახეს გვამი ჩერნიგოვის გუბერნიის მცხოვრების რიბალკოვისა, რომელსაც რამდენიმე სასიკვდილო ჭრილობა აქვს. ვინაობა მკვლელისა არ იციან.

◆ ავლაბარში პრიბილევის ქუჩის მცხოვრებთ სთხოვეს ქალაქის გამგეობას ნავთლუღისაკენ განზრახულ ტრამვაის ერთი შტო ამ ქუჩაზე იქმნეს გატარებულიო.

ქუთაისის ამბები

◆ 26 ოქტომბერს ქუთაისში გულის ამაშფოთებელი ამბავი გავრცელდა: ტფილისში დიდძალი მოსწავლე ამოუჟლეტიათო. ამის გამო მთავრობის სასწავლებლებსა და სათავად-აზნაურო გიმნაზიაში სწავლა შეაჩერეს და მოსწავლენი დაითხოვეს. სწავლის განახლების დრო ჯერ გამოცხადებული არ არის.

◆ ერთ კვირაზე მეტია გამუდმებული კოკის პირული წვიმებია აქ. ახლო-მახლო მთებიც ჩამოთოვა, რის გამო ძალზე აცივდა.

◆ შავი-ქვის მრეწველთა კრებამ 15 ოქტომბერს დაასრულა საქმეების განხილვა და კენჭის ყრას შეუდგა თანამდებობის პირთა ასარჩევად. პირველად ყუთი დადგეს საბჭოს თავმჯდომარის ამოსარჩევად. კრებამ თავმჯდომარედ ერთ ხმად დაასახელა გ. ფ. ზდანოვიჩი. უნდოდათ უკენჭოდ ამოერჩიათ, მაგრამ კრების თავმჯდომარე არ დაეთანხმა. კენჭის ჩამოტარებამდე ბ-ნმა კ. ქადაგიძემ განაცხადა: ბ-ნი ზდანოვიჩი ათ წელზე მეტია, რაც შავი-ქვის მრეწველებს ემსახურება. მისი შრომა და ღვაწლი ყველა ჩვენგანს კარგად მოეხსენება. განავხილეთ სავარაუდო ხარჯთ აღრიცხვა. არ დაგვიტოვებია არც ერთი მოსამსახურე, რომლისთვისაც ჯამაგირი არ მოგვემატებინოს და მაგის შესახებ-კი კრინტი არავის დაუძრავს. ვთხოულობ მიემატოს ზდანოვიჩს ათასი მანეთი წელიწადში. ეს წინადადება კრებამ ერთ ხმად მიიღო. კენჭის ყრას შეუდგნენ. გ. ფ. ზდანოვიჩმა მიიღო ას ოთხი თეთრი და ათი შავი. კენჭის ჩამოტარებითვე გადასწყდა საკითხი საფუთო შემოსავლის $^{1}/_{4}$-თ გადიდების შესახებ 98 ხმით წინაამდეგ 22 ხმისა. ამავე დღეს გადასწყდა შემდეგი საკითხი: გეგმების გადამღებ ბიუროზე საბჭოს მიერ დახარჯული ფული საბჭოს თავის თავზე მიეღო თუ მრეწველთათვის დაებრუნებინა. მრეწველებმა ეს საკითხი თავიანთ სასარგებლოდ გადასწყვიტეს. 16 ოქტომბრის კრება საბჭოს წევრების არჩევას შეუდგა. ამ თანამდებობაზე 13 კანდიდატი დაასახელეს: ი. ნიჟარაძე (ძველი წევრი), ი. კაკაბაძე, ბელიაშვილი, ალ. გამრეკელი, კიტა აბაშიძე, ტ. წერეთელი, ვ. მოსეშვილი (ძველი წევრი), კარ. მოდებაძე, ი. მხეიძე, თ. დარჩია, და ვ. კაკალოპულო. ამოირჩიეს: ივ. ნიჟარაძე, (62 თ. 51 შ.), ალ. გამრეკელი (63 თ. 48 შ.), კიტა აბაშიძე (68 თ. 45 შ.), და არ. ვაკალოპულო (64 თ. 47 შ.). 19 ოქტომბერს ამათ კანდიდატებათ აირჩიეს ი. მხეიძე და ი. კაკაბაძე. სარევიზიო კომისიის წევრებად აარჩიეს ფ. დარჩია, ნ. ყიფშიძე და ი. ლორთქიფანიძე. ამის შემდეგ გაფიცვის გამო შავი ქვის მრეწველთა კრება 22 ოქტომბრამდე აღარ შემდგარა. ამ დღეს კრებამ ვაგონების გამნაწილებელ კომიტეტის წევრებად აარჩია: ქუთათელაძე, იურკევიჩი და ავგერინო. კრებამ სამთა-მადნო კრებაზე პეტერბურგში წარმომადგენლებად აარჩია გ. ფ. ზდანოვიჩი და ზ. ოჰანეზოვი. მოსამსახურეთა ინსტრუქციის შესადგენად საბჭოს დასახმარებლად აარჩიეს: ვ. მოსეშვილი, ი. ლორთქიფანიძე და ს. წერეთელი. სტიპენდიების გამნაწილებელ კამისიის წევრებად—კიტა აბაშიძე, ვ. ქადაგიძე, კ. წერეთელი და ვ. მოსეშვილი. ამით დასრულდა შავი ქვის მრეწველთა კრება. კრების დასასრულ საბჭოს თავმჯდომარეს კრების წევრებმა, რიცხვით ორმოცდაათამდე კაცმა, ხელმოწერილი ქაღალდი გადასცეს. თხოულობდნენ თითოს ხუთ-ხუთი თუმანი მისცემოდა სესხად. მიზეზად იმას ასახელებდნენ, რომ გაფიცვები დაიწყო, რკინის გზა არ მუშაობს და არ ვიცით, როდის წავალთ აქედანაო. ეს თხოვნა საბჭომ შეიწყნარა.

◆ დაიწყო თუ არა ქუთაისში საერთო გაფიცვა, ჩვენი ქურდ-ბაცაცებიც შეუდგნენ საქმეს. 18 ოქტომბრის ღამეს გასტეხეს „ნადეჟდას“ საქონლის საწყობი და წაიღეს 400 მანეთის ფართლეულობა. 17 ოქტომბერს არქიელის გორაზე ოთხი შეიარაღებული კაცი დაეცა გაჭირვებულს პ. ლორთქიფანიძეს და რადგან ფული ვერ უნახა, ბალიშები და სხვა ავეჯეულობა წაართვა, ამასთან თვითონ პატრონიც დასჭრეს. 20 ოქტომბერს ორი კაცი დაუხვდა სახელმწიფო მამულების გამგეობის უფროსს პავლოვსკის და ფული მოსთხოვა. ხმაურობაზე ახლო-მახლო სახლებიდან ყვირილი ასტეხეს, ერთი სახლიდან რევოლვერიც დასცალეს. ამის გამო ვაჟბატონებმა იკადრეს გაქცევა. 21 ოქტომბრის ღამე წყალწითელას მახლობლად გასტეხეს საამქციონერო საზოგადოების „ვინერას“ თოფის წამლის საწყობი და რვა ყუთი ასაფეთქებელი წამალი წაიღეს. ეს საწყობი მესამედ გასტეხეს. 23 ოქტომბერს ფერმის ქუჩაზე სამი უცნობი თავს დაეცა გიორგი ბერიძეს და წაართვა ხუთასი მანეთი. ახალი თაობა გულმოდგინედ შეუდგა ამ ვაჟბატონების აღმოჩენას. 22 ოქტომბრის ღამეს თეთრი ხიდის მახლობლად გასტეხეს მესაათის ჩოგავაძის დუქანი და 400 მანეთის ნივთები წაიღეს. ქურდები ახალ თაობამ მეორე დღესვე აღმოაჩინა და დაკარგული ნივთებიც მოატანინა. ქურდები აღმოჩნდნენ ა. კავზინაძე და სიმონ ხეჩინოვი.

კიდევ 22 ოქტომბრის სისხლის ღვრის შესახებ

22 ოქტომბერი იმდენად შავბნელი და ბარბაროსობის დღე იყო, რომ უბრალო წვრილმანსაც-კი დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც ეხლანდელ, ისე მომავალ თაობისთვის. მით უფრო საჭიროა ამ დღის ამბების გამომჟღავნება, რომ დეპეშათა სააგენტოებიც არ ჩამორჩნენ ოფიციალურს „კავკაზს“ და ცრუ დეპეშები გადასცეს რუსეთის მკითხველ საზოგადოებას. ამიტომ კვლავ ვუბრუნდებით 22 ოქტომბერს.

ამას წინად რამდენისამე კაცის ნახული უკვე გაცნობეთ მკითხველებს. მნახველნი იყვნენ აგრეთვე ტფ. მესამე განყოფილების მომრიგებელი მოსამართლე ბ-ნი გიორგი ჩაჩიბაია, სამოსამართლო პალატის წევრი ბ-ნი გეგიძე, ქნ. ნინო ს. ვაჩნაძისა, ქნ. ანასტასია ვახვახიშვილი და სხვანი. ყველა ესენი სტუმრად ყოფილან ბ-ნ ჩაჩიბაიასთან, რომელიც „მუხრანის“ სასტუმროს მე-14 ნომერში სცხოვრებდა. 22 ოქტომბერს ბ-ნი ჩაჩიბაია თავის სტუმრებთან ერთად სწორედ იმ აივანზე მდგარა, საიდანაც გოლოვინის პროსპექტი სარტისტო საზოგადოების შენობიდან „ორიანტის“ სასტუმრომდე ხელის გულივითა სჩანს. ხულიგანები და იმათი დამქაშები-კი სწორედ ამ ადგილას თარეშობდნენ.

აი, რა გადმოგვცა ბ-ნმა ჩაჩიბაიამ ამ დღის შესახებ: სწორედ იმ დროს, როდესაც პატრიოტული მანიფესტაცია პირველ გიმნაზიას მოუახლოვდა, ჩემ სტუმრებთან ერთად აივანზე ვიდექი და იქიდან თვალყურს ვადევნებდი. წინ მოდიოდნენ უფრო კადეტები და საიუნკრო სასწავლებლის მოსწავლენი. უეცრად რამდენიმე კაცი მოშორდა ბრბოს, მივარდა გიმნაზიის ეზოს კარებთან გიმნაზიელებს და შესძახა: „ქუდები მოიხადეთო“. გიმნაზიელებმა ბრძანება არ შეასრულეს. მაშინ ეს მართლა და ხულიგანები დაერივნენ მუშტებითა და ჯოხებით და შეუბრალებლად ცემა დაუწყეს. ეს თავდასხმა იმდენად მხეცური იყო, რომ ჩემს აივანზე ქალებმა კივილი მორთეს—დახოცეს, დახოცეს გიმნაზიელებიო. გიმნაზიელთა ერთი ჯგუფი ეზოში შევარდა და იქიდან ქვები დაუშინა. უცბად ვიღაცამ ხმა მაღლა ბრძანება გასცა—ესროლეთო. ვერ გავარჩიე ვინ იყო მბრძანებელი—ოფიცერი თუ ჯარის-კაცი. ჯერ აქა-იქ რევოლვერები გაისროლეს, შემდეგ კი სალდათებმა თოფების სროლა ასტეხეს. ჯარმა ჯერ ვერ გაიგო, ვისთვის უნდა ესროლა, გიმნაზიელებს ვერა ჰხედავდა და ამიტომ პირველად თოფები დაუშინეს თვით მანიფესტანტებს, რომელთაგან ბევრი მკვდარი და დაჭრილი დაეცა. მალე ჯარმა და ყაზახებმა თოფები ჩვენს სახლს დაუშინეს. ჩვენ მსწრაფლ ნომრებში შევცვივდით. გაისმა ფანჯრების ლაწა-ლუწი. შეშინებულნი ერთი ნომრიდან მეორეში გადავდიოდით და ვეძებდით უშიშარ ადგილს. საშინელი და თავზარ დამცემი იყო განსაკუთრებით ის წამი, როდესაც ყაზახებმა კარებები შემოატვრიეს და ნომრებში შემოგვიცვივდნენ. ბევრი ტანჯვა გამოვიარეთ, ბევრს ვეცადეთ, რომ ყაზახთა შეუბრალებელ ხელიდან დაგვეხსნა ბავშვები, ქალები და ჩვენი თავიც. სიკვდილს გადაგვარჩინა ერთმა ჟანდარმის ოფიცერმა, როგორც შემდეგ გავიგე, გვარად მარტინოვმა, რომელმაც ჩაგვავლო ხელი მე, გეგიძეს და ქ-ნ ვახვახიშვილს და ქუჩისაკენ წაგვიყვანა. ამ დროს გეგიძეს მოუახლოვდა ერთი კაკარდოსანი, უთუოდ მოხელე ხულიგანი, სწვდა მხრებში და შეჰყვირა—„ეს არის ჩვენი მტერიო“: ჩვენმა მხსნელმა ოფიცერმა შემოჰკრა ამ კაცს და უთხრა: „შე ოხერო, ვერა ხედავ ხელით მომყავს“. ახლა ყაზახები მისცვივდნენ ოფიცერს და შესძახეს: „ჩვენსას შეურაცხებას რად აყენებო“. საშინელი წამი იყო, აუცილებლად სიკვდილი მოგველოდა, მაგრამ ამ დროს წამოგვეშველნენ სხვა ოფიცრები და, როგორც იქნა, გადავრჩით. ოფიცერმა გაგვაცილა სასახლემდე, იქიდან ერევნის მოედნით „ცნობის ფურ.“-ს რედაქციაში ჩავედით და იქ დავრჩით 4 საათამდე. 5 საათის შემდეგ დავბრუნდი ჩემს ნომერში და ყველაფერი აწიოკებული, აოხრებული და გაძარცულ-აკლებული დამხვდა. რაც არ წაიღებოდა, მიელეწ-მოელეწათ და გაენადგურებინათ. ასე დავკარგე სულ ცოტა 500—600 მანეთის ქონება. აივანზე დგომის დროს ყველაფერს თვალყურს ვადევნებდი და თამამად შემიძლია ვთქვა, რომ არავის არაფერი გაუსროლია არც ჩვენის სასტუმროდან, არც სობრანიედან და არც სხვა მეზობელ სახლებიდან. პირიქით, კარგად შევნიშნე, რომ პირველად პარტიიდან გაისროლეს, შემდეგ სალდათებმა ასტეხეს სროლა. ყუმბარებისა ხომ ხსენებაც არ იყო და არც რაიმე ნიშანი დარჩა ყუმბარის გასროლისა. ეს აშკარა ცილის წამებაა და სხვა არაფერი. საზოგადოდ, ხულიგანებს ეტყობოდათ, რომ სისხლი სწყუროდათ. ჯერ წინა დღესვე გაისროლეს ორჯელ-სამჯერ და დაათრთხეს ხალხი. 22 ოქტომბერს ხომ ისე იქცეოდნენ, თითქოს ვიღაცას იწვევენ საბრძოლველადაო. სხვათა შორის, ამ ველურებმა მხეცურად მოჰკლეს ჩვენი სასტუმროს მოსამსახურე, ნასალდათარი შაპოვალოვი. ყველას ერთნაირად ასალმებდნენ წუთი-სოფელს, არ არჩევდნენ ქალს, ბავშვს და კაცსაო, დაასრულა სიტყვა ბ-ნმა ჩაჩიბაიამ.

დიდი უბედურება და ტანჯვა გამოუვლიათ „მუხრანის“ სასტუმროს პატრონის დავით მაჭავარიანის ძმებს ესტატეს და კონსტანტინეს, რომელთაც სასტუმრო ჰქონიათ ჩაბარებული. საზოგადოდ, იმათგანი, ვინც ამ სასტუმროში სცხოვრობდა, უბედურებას არავინ ასცდენია. ესტ. მაჭავარიანს, როგორც თვითონ გადმოგვცა, ჯერ კიდევ 21 ოქტომბერს შეუნიშნავს, რომ პატრიოტული პარტია მეტად ცუდად იქცეოდა და სროლაც-კი დაუწყია როცა მაჭავარიანს გაუგია, რომ 22 ოქტომბერსაც მოდიოდნენ პატრიოტები, სასტუმროს კარები ჩაუკეტნია, თითონ სასტუმროში დარჩენილა. იქვე მე-15 ნომერში ყოფილან მუხრანსკი, პრაპორშჩიკი მიტო თარხნიშვილი, რუმინიელი მუსიკოსნი ცოლქმარი და ილ. ყიფიანი.

როცა „პურ-ღვინოს“ მოუახლოვდნენ,—სთქვა მაჭავარიანმა,—ოცამდე კაცი შევარდა „პურ-ღვინოს“ ეზოში და არ ვიცი, რა ჩაიდინეს იქ. გიმნაზიასთან რამდენიმე კაცი მოსწავლეებს დაესია და ცემა დაუწყო. ამ დროს რამდენჯერმე გავარდა რევოლვერი, სალდათებმაც აქა-იქ გაისროლეს, შემდეგ კი საერთო სროლა ასტეხეს. მალე ჩვენ დაგვიშინეს თოფები. თავზარ დაცემულნი სასტუმროს ფოიეში შევცვივდით. აქვე მოირბინეს ნომრებიდან ნამესტნიკის საქმის მწარმოებელმა ნ. ვ. ნიკოლსკიმ, ნაფიც ვექილის თანაშემწემ ლ. ბახტაძემ, ყიფიანმა, მუხრანსკიმ, და სხვ. აქ უარესი დღე დაგვადგა. „პურღვინოს“ ეზოში ყაზახები და სალდათები შეცვივნულიყვნენ და იქიდანაც აგვიტეხეს სროლა. ტყვია ფოიეს შუშაბანდს ხვდებოდა და ამოდენა ხალხი ორ ცეცხლ შუა მოვყევით. ყველანი კედლებს ამოვეფარეთ. ტყვიას მალე შენობაზე რასა-რუხი

უნდა სწარმოებდეს ჩვენს დედა-ენაზე.

8. ჩვენს გაღარიბებასა და გალატაკებას განსაკუთრებით ის უწყობს ხელს, რომ განათლება არა გვაქვს. ჩვენ რომ ცოდნა გვქონდეს, მიწის სიმცირეც ისე არ შეგვაწუხებდა, როგორც დღეს გვაწუხებს: მიწის ხელობის კარგი მცოდნე კაცები ცოტა მიწითაც რიგიანად ირჩენენ თავს. ჩვენ ხომ უსწავლელნი დავრჩით; მაგრამ ჩვენს შვილებსაც რომ ვუყურებთ, ვინც-კი სასწავლებელში შესვლა მოახერხეს, ისინიც ვერაფერს სწავლობენ. ამისი მიზეზი ის არის, რომ საჭიროსა და ხალხისათვის გამოსადეგ საგნებს არ ასწავლიან, აგრეთვე ისიც, რომ საგნებს ჩვენს შვილებს უცხო ენის საშუალებით ასწავლიან—და ამიტომ რიგიანად არ ესმით, რასაც სწავლობენ. განათლებას ჩვენში კიდევ ის აბრკოლებს, რომ სკოლები ცოტაა და ყველა ვერ შედის სასწავლებლებში. სწავლის დიდი გადასახადიც აბრკოლებს ღარიბებს და ვერ იხდის ყოველ წელიწადს ხუთსა და ექვსს თუმანს სწავლის ქირას. უნდა დაარსდეს ჩვენში ორისავე სქესისათვის საკმაო რიცხვი ყოველნაირ სასწავლებლისა, ისე რომ უსწავლელი არავინ უნდა რჩებოდეს. სწავლა უნდა იყოს საყოველთაო, სავალდებულო და უსასყიდლო და უსათუოდ ჩვენს დედა-ენაზე უნდა სწარმოებდეს. სასწავლებლებს გარდა ხალხში მრავლად უნდა იყოს ბიბლიოთეკები და სამკითხველოები, რომლის გახსნაც მთავრობის დაუკითხავად უნდა შეგვეძლოს, სადაც მოვისურვებთ.

9. ჩვენთვის ხშირად საჭიროა ერთად თავის მოყრა და სხვა და სხვა საჭირო საქმეზე მოლაპარაკება, მაგრამ პოლიცია გვიკრძალავს შეკრებას; რას ვაშავებთ ჩვენის შეკრებით? მშვიდობიანად ვლაპარაკობთ და ვარჩევთ, თუ როგორ სჯობია ჩვენში ცხოვრების მოწყობა. თავისუფლად უნდა შეეძლოს ხალხს შეკრება და ლაპარაკი.

10. ჩვენ გვინდა ჩვენი გაჭირვება სხვებმაც გაიგონ და აგრეთვე გვსურს ვიცოდეთ სხვა ქვეყნის ავი და კარგი, რომ ამ რიგად გავაუმჯობესოთ ჩვენი აუტანელი მდგომარეობა. მაგრამ აკრძალულია თავისუფალი წერა გაზეთებში. დამყარდეს სრული თავისუფლება როგორც წერისა ჟურნალ-გაზეთებში, ისე თვით ამ ჟურნალ-გაზეთების დაარსებისა და გამოცემისა.

11. თვითეული ჩვენგანი ცალკე სუსტია და ვერ ებრძვის ბუნებას და ცხოვრებას ისე ნაყოფიერად, როგორც ვიბრძოლებდით შეერთებულნი და დაკავშირებულნი. მაგრამ ყოველივე კავშირი აღკრძალულია: უნდა დამყარდეს სრული თავისუფლება ყოველგვარ კავშირებისა.

12. ყველა ჩვენს უბედურებას კიდევ სალდათობაც ზედ ემატება. ოჯახის მრჩენელ შვილებს გვტაცებენ და მიჰყავთ შორს ჩვენის სამშობლოდან, სადაც ისინი ან ცუდის ჰავისა და ყოფაცხოვრების გამო ყაზარმებში იხოცებიან, ან ბრძოლის ველზე უმოწყალოდ იჟლიტებიან. უნდა მოისპოს სალდათობა და იმის მაგიერ დაწესდეს სახალხო მილიცია, რომელიც თავისსავე სამშობლოში უნდა იმყოფებოდეს.

13. შიმშილ-წყურვილი და ათასნაირი ნივთიერი დაჩაგვრაც გვეყოფა და კიდევ ჩვენს ადამიანურ ღირსებას ლახვენ და ჩაგვრენ: შენ გლეხი ხარ, შენ მოჯალაბე ხარო და სხვა! ადამიანს შთამომავლობით კი არ უნდა აფასებდნენ, არამედ პირადის ღირსებით, ესე იგი, იმდენად, რამდენადაც ის ქვეყნისათვის სასარგებლოა; ამიტომ წოდებრივი უთანასწორობა უნდა მოისპოს: ყოველი ადამიანი, ვაჟია იგი თუ ქალი, თანასწორი უნდა იყოს კანონის წინაშე, ყველას თანასწორი უფლება უნდა ჰქონდეს ცხოვრებაში მინიჭებული.

14. კანონები არ ვარგა ჩვენში და ცხოვრება აიწეწ-დაიწეწა. კანონების გამოცემის დროს ჩვენ არავინ არაფერს გვეკითხება. სადღაც ადგენენ ჩვენთვის კანონებს ისეთი კაცები, რომელთაც ჩვენს ცხოვრებაზე, ჩვენს გაჭირვებაზე არავითარი წარმოდგენა არა აქვთ. ყოველ ერს უნდა ჰქონდეს მინიჭებული უფლება თავის მოთხოვნილებათა შესაფერი კანონები თვითონ გამოსცეს, თვითონ მოაწყოს თავისი ცხოვრება ისე, როგორც მას უჯობს, ადევნოს თვალ-ყური (კანტროლი იყოს), როგორ და რაში იხარჯება მის მიერ შეტანილი ფული, თვალ-ყური ადევნოს მოხელეთა მოქმედებას და მოღვაწეობას და ანგარიში მოსთხოვოს მათ და სხვა და სხვა. ჩვენც, საქართველოს მკვიდრთაც, უნდა გვქონდეს ეს უფლება. უნდა გვქონდეს უფლება ჩვენს შორის საყოველთაო, თანასწორ, პირდაპირ და ფარულ კენჭის ყრით ავირჩიოთ წარმომადგენელნი (დეპუტატები), რომელნიც შეიკრიბებიან ტფილისში და ზემო-აღნიშნულ საკანონმდებლო და საკანტროლო უფლებებს ხალხისას განახორციელებენ. ერთი სიტყვით, უნდა გვქონდეს სახელმწიფო თვით-მმართველობა ანუ ავტონომია.

15. ამგვარ თვითმმართველობას ანუ ავტონომიას, იმედია, მოიპოვებენ კავკასიის დანარჩენი ერებიც და თავიანთ საკუთარ შინაურ საქმეებს თვითონვე მოუვლიან. ხოლო მთელის კავკასიის საერთო საქმეების მოსაწესრიგებლად კავკასიის ყველა თვითმმართველმა ერებმა უნდა შეჰკრან ურთიერთ შორის კავშირი ანუ ფედერაცია და საერთო საქმეები საერთო პარლამენტში აწარმოვონ.

16. ჩვენ რუსეთისაგან ჩამოშორება, გამოცალკევება სრულიადაც არ გვინდა და ზემო აღნიშნული თვითმმართველობა ანუ ავტონომია არამც თუ არ დაგვაშორებს რუსებს, პირიქით ამ ორ ხალხს შორის უფრო მტკიცე და წრფელ მეგობრულ კავშირს დაამყარებს.

რუსებთან და რუსეთის სხვა ერებთან ჩვენ ბევრი რამ საერთო გვაქვს და გვექნება. ამ საერთო საქმეების მოსაწესრიგებლად და გადასაწყვეტად უნდა იყოს საერთო სრულიად რუსეთის პარლამენტი, სადაც რუსეთის სხვა ერებთან ერთად ჩვენც უნდა გვყავდეს ჩვენის ხალხის მიერ საყოველთაო, თანასწორ, პირდაპირ და ფარულ კენჭის ყრით არჩეული წარმომადგენელნი.

17. ზემო აღნიშნული საჭიროებანი ჩვენნი შეიძლება დააკმაყოფილონ მხოლოდ სრულიად რუსეთისა და ცალკე ჩვენმა დამფუძნებელმა კრებებმა, რომელნიც დაუყოვნებლივ უნდა იქნენ მოწვეულნი და არჩეულნი რუსეთის ხალხების მიერ საყოველთაო, თანასწორ, პირდაპირ და ფარულ კენჭის ყრით.

სანამ ზემოაღნიშნული საჭიროებანი ჩვენნი დაკმაყოფილებული არ იქნება, მანამ ჩვენი ცხოვრება ტანჯვა იქნება და სხვა არაფერი. ამიტომ ჩვენ ვერ მოვისვენებთ, ვერ დავწყნარდებით, სანამ არ დამყარდება ჩვენში მეუფება შრომისა, სანამ არ დამყარდება თავისუფლება, თანასწორობა და ერთობა.

გაჰქონდა. მთელს შენობას იერიშით მოადგნენ, თითქოს მტრის ციხის აღება უნდათ. მალე შვეიცრის ცოლმა კივილით ამოირბინა და მოგვაძახა: არიქა, კარები შემოამტვრიეს, მოდიან და თავს უშველეთო. თავზარ დაცემულთ აღარ ვიცოდით, რა გვექნა. ავედით ისევ სასტუმროს შუა აივანზე. ჩაჩიბაია, გეგიძე და ქალები ბავშვებითურთ იქვე დარჩნენ და არ ვიცი, რა მოუვიდათ. მე გამომყვნენ ნიკოლსკი, ბახტაძე, ყიფიანი, მუხრანსკი, რუმინელები და ავეტიანი. რაკი შველა არსაიდან იყო, გადავსწყვიტეთ სახურავში ასვლა და იქ ჩამალვა. სათითაოდ ავიკრიბენით სახურავში, იატაკზე გავწექით და ისე ფოფხვით წავედით უფრო მყუდრო ადგილისკენ. მალე ნომრებიდან მოისმა ხმაურობა. გამხეცებული ხულიგანები ამოსძღოლოდნენ სალდათებსა და ყაზახებს და ყველანი ერთად შესდგომოდნენ ბუფეტისა და ნომრების აკლებას. ისმოდა, როგორ ამტვრევდნენ ლომებით კარებს, როგორ ისროდნენ თოფებს, ყვიროდნენ: „სიკვდილი, სიკვდილი ყველასო“. სახურავზე ტყვიას სეტყვასავით გაჰქონდა რახა-რუხი. სასტუმროს ფოიედან მოისმოდა მომაკვდავთა გმინვა და მუდარა ცოცხლებისა—ნუ მოგვკლავთო, ხმლების ტრიალი, ტყვიის ზუზუნი. საშინელი წამი გამოვცადეთ. ნიკოლსკი, ბახტაძე, ყიფიანი და მუხრანსკი სახურავის სხვა კუთხისაკენ წავიდნენ. მუხრანსკი შუშაბანდს წააწყდა, მოინდომა ზედ გადავლა, შუშა ჩატყდა, მუხრანსკი ერთი საჟენის სიმაღლიდან ჩავარდა და შემდეგ რა მოუვიდა, არ ვიცი. ამ დროს ქუჩიდან რახარუხი მომესმა. ვიფიქრე, ზარბაზნები მოუტანიათ და ჩვენი სახლის დაქცევა უნდათ მეთქი. რაკი სიკვდილი აუცილებელი იყო, გადავწყვიტე ძირს ჩასვლა. გადავდექი სახურავიდან და გამოვეხმაურე ძირს მყოფთ. ყაზახებმა თოფები დამიმიზნეს, მაგრამ სალდათები ჩამოეფარნენ და თოფი არ დაასცლევინეს. როცა ჩაველი, დამიჭირეს. ერთმა ხულიგანმა სილა გამარტყა. დავინახე დაჭრილი კაცი, რომელსაც ტყვია მაშინ ესროლეს, როცა სახურავიდან ჩამოდიოდი. მიჰვარდა ამ დაჭრილს ვიღაცა რკინის კეტით და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ეს კეტი თავში ჩაარტყა და ტვინი გადმოანთხევინა. ვინ იყო საბრალო, არ ვიცი. შემდეგ ჯარის კაცებმა უვანვე დამაბრუნეს სახურავში, ჩამოიყვანე თუ ვინმეა მანდ კიდეო. როცა ჩავედით, უკლებლივ საკომენდანტოში წაგვიყვანეს ვიღაც პოლკოვნიკმა, როცა გაიგო, რომ ნომრების პატრონი ვიყავ, მუქარით ბნელს „კარცერ“-ში ჩამაგდო, გამანთავისუფლეს მხოლოდ 9 საათზე. მეორე დღეს სასტუმრო დავათვალიერე და ნომრები სულ აკლებული დამხვდა. კასიდან წაეღოთ 250 მან. ვერცხლეული წაეღოთ 200 მანეთისა. ბუფეტი სულ მიელეწ-მოელეწათ და წაეღოთ ყველაფერი. როცა ბუფეტში შევედით, ორი ყაზახი და ერთი სალდათი შიგ შემძვრალიყვნენ, ნამტვრევებს არჩევდნენ და თუ რამეს ფასოვანს ნახავდნენ, ჯიბეებში იწყობდნენ. გენერალ რაცსკასთან ერთად შევუდექით ნომრების ათვალიერებას. აკლეთ ნომრები ლ. ბახტაძისა, კნ. ვაჩნაძისა, ნიკოლსკისა. აიკლეს აგრეთვე ქუთაისის ვიცე-გუბერნატორის ალექსანდრე ყიფშიძის ოთახი, სადაც შენახული ჰქონდა ნივთები. ჩამოდნები დაეჭრათ, დაეტეხათ და ყველაფერი წაეღოთ. რუმინელებსაც ასე მოექცნენ. ნომრები ჩაჩიბაიასა, ინჟინერ ანდერსისა, კნ. მაყაშვილისა, შჩეგოლევისა, ალექსანდრე მაღნარაძისა, (მაღნარაძეს 600 მან. ზარალი მიაყენეს) ქალანთარიანისა, ალექსანდრე კლდიაშვილისა და სხვათა, სულ 31 ოთახი, ერთიანად მიელეწ-მოელეწეს და აიკლეს. მარტო კონ. მაჭავარიანის ოთახიდან ფულად წაეღოთ 300 მან., ხოლო ნივთები 1500 მანეთისა. კასიდან ფულის გარდა წაეღოთ 2000 მანეთის ფასიანი ქაღალდები. მთელ სასტუმროს ზარალი 15,000 მანეთი იქნება. მესამე დღეს, როცა ავედით, ვნახეთ, ის ოთახიც გაეტეხათ და გაეძარცვათ, სადაც აკლების შემდეგ ნივთები შევინახეთ. ასე აგვიკლეს და აგვაწიოკესო, სთქვა მაჭავარიანმა.

პრესსა

„პრავო“ საჭიროდ სცნობს ეხლანდელ გაჭირვებულ მდგომარეობაში ყველა პარტიის შეერთებას რუსეთის ბნელ ძალებთან საბრძოლველად.

გაზეთი ამბობს, რომ

სოციალისტური პარტიები როგორც მუშათა, ისე გლეხთა დიდ ცოდვას ჩაიდენენ ისტორიის წინაშე, თუ თავის რევოლიუციონურ ტაქტიკის შეცდომებით ახლო არ მიიკარებენ დემოკრატიულ ინტელიგენციას. კიდევ უფრო დიდ ცოდვას ჩაიდენს ინტელიგენცია, თუ ტაქტიკურ და თუნდ პროგრამმულ შეუთანხმებლობის გამო ჩამოშორდება სოციალისტურ პარტიებს და ამით ხელში მისცემს მათ საერთო მტერს. საზოგადოების აზრი ძლიერად და დაჟინებით თხოულობს ამნისტიას. თხოულობს სრულ ამნისტიას, ყველა ტანჯვით ამაღლებულ გმირის განთავისუფლებას. თუ მთავრობა ამ გმირებისაგან დამარცხდა, ხალხი მათის მეოხებით განთავისუფლდა. მთავრობამ იცის, რუსეთში რომ ამგვარი გმირები არა ყოფილიყვნენ, იგი ჯერ კიდევ ათრევდა სამარცხვინო უღელს პოლიტიკურ მონობისას. რას უპასუხებს მთავრობა საზოგადოების მოთხოვნილებას? მთავრობა ვაჭრობს, სწონავს თავის მსხვერპლთა დანაშაულს ყალბ სასწორით.

საზოგადოება თხოულობს საგანგებო დადგენილებათა მოსპობას. თხოულობს ჯარისა და პოლიციის ალაგმვას, მტარვალთა და ძალ-მომრეობის მომხრეთა გადაყენებას.

თხოულობს ამას, დავუმატოთ ჩვენც, და, თუ მთავრობამ არ აასრულა ეს, ხალხი თვით მოინდომებს ამის ასრულებას.

თეატრი და მუსიკა

ხარბინი. 13 სექტემბერს ქ-ნ ლ. გლამაზდინის მეთაურობით აქ გაიმართა ქართული წარმოდგენა. წარმოადგინეს ა. ცაგარლის ერთ მოქმედებიანი კომედია „ჭკუისა მჭირს“. მონაწილეობას იღებდა არტისტი ჭელიძე. წარმოდგენის შემდეგ გაიმართა სცენაზე ლეკური და სიმღერები. წარმოდგენამ კარგად ჩაიარა. ბ-ნმა ჭელიძემ ბევრი აცინა მაყურებელნი. თუმცა საღამოდანვე კოკის პირული წვიმა წამოვიდა და ქუჩები წყლით აივსო, თეატრი მაინც გაჭედილი იყო ქართველებით. ყველანი ჩოხებში გამოწყობილიყვნენ. ამდენ საზოგადოებას ქუთაისის თეატრში იშვიათად ნახავთ. საყურადღებოა, რომ ამოდენ ქართველებში, გარდა იმერლებისა, არ ერია არც ერთი ქართლელი და კახელი. საზოგადოება ძლიერ მადლობელი დარჩა ქ-ნ ლ. გლამაზდინისა, განსაკუთრებით ისინი, რომელნიც აქ გამოგზავნილნი არიან და რამდენიმე წელიწადია ქართული თეატრი თვალით არ უნახავთ. კარგი იქნება, ქ-ნი გლამაზდინისა და ბ-ნ ჭელიძე შრომას არ მოერიდნენ და სანამ ხარბინში იმყოფებიან, რამდენჯერმე კიდევ გამართონ ქართული წარმოდგენა.

პორუჩიკი ა. აბესაძე

რუსეთი

როგორ მოხდა მანიფესტის ხელის მოწერა. „რუსი“-ს სიტყვით, ფრანგულ გაზეთების პეტერბურგელი კორესპონდენტები შემდეგს იუწყებიან თავისუფლების მანიფესტზე ხელის მოწერის შესახებ. ვიტტე და ბარონ ფრედერიკსი გემით მივიდნენ პეტერგოფს 17 ოქტომბერს. ამ დღემდის ძველი რეჟიმის მომხრენი, გრაფი იგნატიევი, თავ. შირინსკი, შტიურმერი და სხვანი არწმუნებდნენ ხელმწიფეს, რომ ვიტტეს არ დაუჯეროს და არაფერი დაუთმოს. ხელმწიფე ყოყმანობდა. როცა ფრედერიკსი და ვიტტე შუადღის 4 საათზე სასახლეში შევიდნენ, გაიგეს, რომ ხელმწიფემ უკვე მტკიცე გადაწყვეტილება მიიღო. ხელმწიფე ვიტტეს ჯერ უმნიშვნელო საგნებზე ელაპარაკებოდა. შემდეგ უცებ გამოუცხადა: აქამდის მტკიცედ ვიცავდი თვით-მპყრობელობას, მხოლოდ იმიტომ, რომ ამას ხალხისათვის სასარგებლოდ ვთვლიდი, არავითარი სხვა აზრი მაშინ მე არა მქონდა, ეხლა კი მივხვდი, რომ ამგვარი რეჟიმი ხალხისათვის საკმაო არ არისო. ამის მეტი ხელმწიფეს არა უთქვამს-რა, პირჯვარი გადაიწერა, კალამი აიღო და მანიფესტს ხელი მოაწერა. მახლობელ დარბაზში მეფის ამალა ძალიან აღელვებული ელოდდა ვიტტეს დარბაზობის შედეგს. როდესაც გაიგეს, რომ მეფემ ხელი მოაწერაო, ბევრმა ტირილი დაიწყო. ვიტტეს და ფრედერიკსსაც ცრემლები მოერიათ თურმე, მაგრამ მათი ცრემლი სულ სხვა გრძნობისაგან იყო გამოწვეული. ხელმწიფე კი სრულიად დამშვიდებული იყო, თითქოს აქ არაფერი მომხდარაო, და დარბაზში დასეირნობდა. ასე აწერს გაზეთი ამ ამბავს.

დეპეშა

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

ყვირილა, 3 ნოემბერი. გუშინ საღამოს ძირულის სადგურზე ლიანდაგიდან გადავარდა სამხედრო მატარებელი, რადგან მორიგე ოფიცერმა ისარი ცუდათ გადააყენა. სალდათებმა სროლა აუტეხეს უდანაშაულო მცხოვრებთ, მოჰკლეს 9 კაცი, დასჭრეს ორმოცი და შემდეგ დუქნები და მაღაზიები გაძარცვეს. მცხოვრებნი გაიფანტნენ.

ქუთაისი, 3 ოქტომბერი. ბაღდადიდან 8 ვერსტის მანძილზე 30 ოქტომბერს დაეცნენ დაგმარის სახერხ ქარხანას. სროლის დროს მოჰკლეს ორი ავაზაკთაგანი და ორიც დასჭრეს. ქარხნის მოსამსახურენი ყველანი გადარჩნენ.

საჩხერეში დაეცნენ მომრიგებელ სასამართლოს და წაიღეს დანაშაულის დამამტკიცებელი ნივთები.

როგორც ხმა დადის, ლეჩხუმში დაეცნენ ალპანის სადარაჯო პოსტს იარაღის წასართმევად, მაგრამ ვერა წაიღეს-რა.

ეს არის თოფით მოჰკლეს ქუთაისის რკინის გზის სადგურისუფროსის თანაშემწე; ჯარმა წრე შემოავლო ვოკზალს.

სამხედრო წესის გაუქმების მოლოდინში ქუთაისში მშვიდობიანობაა.

პეტერბურგი. 2 ნოემბერი. იურისპრუდენციის თვალთაისრით კრონშტადტის მატროსების ქცევას არ შეიძლება აჯანყება ეწოდოს. მატროსებს ბრალს დასდებენ შფოთსა და ძარცვა-გლეჯაში, რისთვისაც სიკვდილით დასჯა არ არის გადაწყვეტილი კანონით; მატროსებს არა ჰქონიათ ნაბრძანები მთავრობისაგან არაფერი და, მაშასადამე, ასრულების უარის თქმაზე ლაპარაკი მეტია.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

1 ნოემბერი.

პეტერბურგი. შინაგან საქმეთა სამინისტროში ჩარიცხული თ. ურუსოვი დაინიშნა შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგათ; ტოლსტოი-კი საერო განათლების მინისტრად.

გაზეთებში დასტამბულია მუშების საბჭოს საჩქარო კრების რეზოლიუცია, რომლის ძალით გამოცხადებულია საერთო პოლიტიკური გაფიცვა 2 ნოემბრის 12 საათიდან.

ლონდონი, 1 ნოემბერი. ხელ-ახლა გაიმართა კრება რუსეთში ებრაელების დაწიოკების შესახებ. ჩემბერლენმა თავისი მწუხარება გამოსთქვა ებრაელების გაჟლეტის გამო და განაცხადა, რომ ის მზადაა გადასწყვიტოს ეს საკითხი, რომელიც დიდს საფრთხეს უმზადებს ევროპის ცივილიზაციასო. ჩემბერლენი სიტყვას იძლევა, რომ იგი მთელს თავის ძალ-ღონესა და გავლენას იხმარს, რათა ხელი შეუწყოს ებრაელების კოლონიის გაშენებას აღმოსავლეთ აფრიკასა ანა და ბრიტანეთის სხვა რომელსამე ნაწილში.

პლოცკი. გაფიცვა გრძელდება. ქალაქში სიმშვიდეა. ქუჩებში ჩვეულებრივი მოძრაობაა

სტამბოლი, 1 ნოემბერი. 6 დიდ სახელმწიფოს ელჩებმა შეიმუშავეს ულტიმატუმი, რომელსაც ისინი პორტას გადასცემენ, სანამ საერთაშორისო ესკადრა დემონსტრაციას გამართავდეს, რასაც მიზნად აქვს, აიძულოს პორტა საერთაშორისო საფინანსო კონტროლის შემოსაღებად მაკედონიაში.

პეტერბურგი. ასოთ-ამწყობნი შეუერთდნენ საყოველთაო გაფიცვას. გუშინდელი გაზეთები დღეს არ გამოვლენ.

კრონშტადტი, 1 ნოემბერი. ქალაქში სიწყნარეა, ზღვის ფლოტები და ბატარეები სავსეა დატუსაღებულ მატროსებითა და სალდათებით. სწარმოებს გამოძიება სამოქალაქო, საზღვაო და გზათა უწყებების თანადასწრებით.

ვლადიმერის სობოროში მოპარულ ნივთების საწყობი აღმოაჩინეს ეკლესიის დარაჯებთან. კვალი მიიტანეს ერთის ვაჭრის ჩვენებით, რომელსაც დაენახა თავის ბინიდან როგორ გადაჰქონდათ ნივთები საყდარში.

ლიბავა, 1 ნოემბერი. იმპერატორის ალექსანდრე III ნავთსადგურზე არეულობის შესახებ გავრცელებული ხმები არ მართლდება. მოემატა ახალი ჯარი გარნიზონის გასაძლიერებლად.

დღეს დილით შუაგულ ქალაქში მუშა ხალხი შემოერტყა კანცელარიის მოხელეს, რომელსაც ხალხი აბრალებდა ებრაელების აკლების წაქეზებას. ხალხმა ეს კაცი დაუყოვნებლივ მისცა მუშათა სამართალში, რომელმაც სიკვდილი გადაუწყვიტა. ეს გადაწყვეტილება იქვე მოიყვანეს აღსრულებაში რევოლვერების სროლით.

ასხაბადი, 1 ნოემბერი. შუა აზიის რკინის გზაზე ხელმეორედ დაიწყო გაფიცვა და მიმოსვლა შეჩერებულია.

ვარშავა, 1 ნოემბერი. ვარშავისა და ვოლომინის სადგურებს შუა პატრულმა იპოვნა ლიანდაგის ქვეშ, გამოთხრილ ალაგას, ასაფეთქებელი ნივთიერება. გაფიცვა არ გათავებულა. ვარშავის მაზრის რკინის გზათა მოხელენი ემზადებიან ხვალისათვის მიტინგის გამართვას.

ოდესა. ახლად დანიშნული გრადონაჩალნიკი გრიგორიევი შეუდგა თანამდებობის ასრულებას. იმისი წინა მოადგილე ნეიდჰარტი მოსკოვს წავიდა. მეეზოვეები სთხოვენ ქალაქის გამგეობას გაანთავისუფლონ ისინი პოლიციურ სამსახურისაგან.

სამექანიკო ქარხანათა მუშები აარსებენ პროფესიონალურ კავშირს.

ვენა, 1 ნოემბერი. გაზეთები ამბობენ, რომ განზრახულია ჯარის გადასხმა მიტილენის, ლემნოსის და ტენედოსის კუნძულებზე. ამ კუნძულებზე უნდა დაიჭირონ ოსმალეთის მთავრობის დაწესებულებანი, უმთავრესად დამოჟნა. ფლოტის უფროსად უთუოდ ინგლისელი ადმირალი იქნება.

სარატოვი, 2 ნოემბერი. სადგურ რომანოვკაზე, რიაზან-ურლსკის რკინის გზაზე, გლეხებმა გასტეხეს პურით სავსე ვაგონები და დაირიგეს.

პიატიგორსკი, 2 ნოემბერი. ნება-ყოფლობით შემოწირულ ფულით დაარსდა თვით-დაცვის კომიტეტი.

უფა, 2 ნოემბერი. დაარსდა პატრიოტული საზოგადოება თვითმპყრობელობისა და რუსეთის მთლიანობისთვის მხრის დასაჭერად.

ვლადივასტოკი, 31 ოქტომბერი. არეულობის მიზეზი იყო სათადარიგო ჯარის-კაცების გაუნთავისუფლებლობა და მანიფესტის ცუდათ გაგება.

მოსკოვი. ვოლოკოლამსკის მაზრაში გლეხების მიტინგზე გადასწყვიტეს, აღარ მისცენ თავის გამოსახსნელი გადასახადი მთავრობას.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“

2 ნოემბერი

სოხუმი, 1 ნოემბერი. გუშინ სალდათებმა მოიგერიეს ათონის მონასტერზე თავდასხმა. ერთი დამცემთაგანი მოკლულია.

პარიზი, 1 ნოემბერი. „ჟურნალ“-ი ამბობს, პოლონელები სრულს ავტონომიას ითხოვენ და რუსეთის მთავრობა, რასაკვირველია, შეწუხებულია ამ ამბით, იმიტომ რომ პოლონეთის საკითხი საერთაშორისო ხასიათისაა.

ატკარსკი, 1 ნოემბერი. რკინის გზაზე გაძლიერებული დაცვა გამოცხადდა. გუბერნატორი აცხადებს, რომ იქითკენ გაგზავნილია გენ.-ადიუტანტი სახაროვი და მოუწოდებს გლეხებს დამშვიდდნენ.

ქუთაისი, 1 ნოემბერი. გუშინ საღამოს ქუთაისის ქალაქის საბჭომ შესწყვიტა მოქმედება, სანამ სამხედრო წესები არ იქნება მოხსნილი.

მორშანსკი. ქალაქსა და ახლო-მახლო დაბა-სოფლებში გაძლიერებული დაცვა გამოცხადდა.

სამარა, 1 ნოემბერი. სამარის მაზრის სოფ. კოსტიჩში ახალ-გაწვეული ჯარის კაცები და გლეხები აწიოკებენ სკოლას, სახალხო სახლსა და ზოგიერთ კერძო ბინებს. ინტელიგენციამ სამარაში უშველა თავს.

ვარშავა, 1 ნოემბერი. გაფიცვები არ შეწყვეტილა. საწვავი-მასალა აღარ არის.

კამიშინი. ქალაქის საბჭომ გადასწყვიტა, დაარსოს ქალაქის მილიცია.

ბაქო, 1 ნოემბერი. პოლიციის ცნობით, მოკლულია 51 სომეხი, 2 რუსი, ერთი ქართველი, 1 ებრაელი და ერთიც თათარი. დაჭრილია 38 სომეხი, 14 რუსი, 1 ებრაელი, 4 მუსულმანი და 2 სხვა ეროვნებისა. გადამწვარია 24 სახლი სომხებისა, 1 რუსისა და ერთიც თათრისა. გაძარცვულია 19 სომეხი, 4 რუსი, 5 ქართველი, 5-იც ებრაელი, ეს ცნობები აშკარად ამტკიცებენ, რომ ტყუილია, ვითომც სომხები რუსის წინააღმდეგ ამხედრებულიყვნენ და მათ შორის ეროვნული განხეთქილება ყოფილიყოს.

ლონდონი, 1 ნოემბერი. რამდენსამე გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეს რომანისტ მეტფორდის მეთაურობით გადაუწყვეტიათ დააარსონ ინგლის-რუსეთის საზოგადოება, რომელსაც მიზნად ექნება რუსეთისა და ინგლისის დაახლოვება. პოლონეთის საკითხის შესახებ ინგლისი ამბობს, რომ იგი (საკითხი) ძლიერ ეხება გერმანიის ინტერესებსო. სამწუხარო იქნება, თუ ისეთი გართულება განმეორდა, რომელიც ძველს დროებში იყო მთელის ევროპისთვისო.

ნარვა, 1 ნოემბერი. კრენგოლმის მანუფაქტურაში ქვები ესროლეს ჯარებს, რომელთაც ხიშტები იხმარეს. თოფებიც დაახალეს ხალხს, რამდენიმე მუშაა დაჭრილი ტყვიებითა და ხიშტებით, ოფიცერი და რამდენიმე სალდათი დაშავებულია ქვებით.

პეტერბურგი, 1 ნოემბერი. „ნოვოე ვრემია“-ს ვლადივასტოკიდან დეპეშით აცნობებენ, სათადარიგო ჯარის-კაცებმა არეულობა მოახდინეს და გაანადგურეს ქალაქი და ცეცხლი წაუკიდესო. 30 ოქტომბერს შეუდგნენ ბაზრის აწიოკებას, საიდანაც შეამბოხენი მიაწყდნენ ქალაქისაკენ. კერძო პირებს არ ახლებდნენ ხელს. ღამით ქალაქი და პორტი ცეცხლის ალში იყო გახვეული. მოკლული და დაჭრილია 300 მეამბოხე. მონაწილეობას იღებდნენ, უმეტესად, მატროსები და არტილერისტები. მცხოვრებლებს შიმშილი ემუქრება.

პარიზი. ლორიანის არსენალებში გაიფიცა 4600 მუშიდან 1150 კაცი, ტულონში დღეს მხოლოდ 100 კაცი მუშაობდა. რუვიემ, გარეშე საქმეთა მინისტრმა, განაცხადა, მთავრობა ვერ მოითმენს, რომ მუშებმა, რომელიც ხალხის დაცვის საქმეს უნდა ემსახურებოდნენ, გაფიცვები გამართონ. შეგვიძლია გავუმკლავდეთ მუშების გაფიცვასო—დაუმატა რუვიემ.

ქუთაისი, 1 ნოემბერი. ქალაქის თავი დეპეშით შუამდგომლობს ვიტტეს საშუალებით ნამესტნიკის წინაშე, გამოიყვანონ ჯარი გურიიდან, გაუქმდეს სამხედრო წესები ქუთაისის გუბერნიაში და ავტონომია მიეცეს საქართველოს.

ნოვოროსიისკი, 1 ნოემბერი. ნამესტნიკმა ახსნა გაძლიერებული დაცვა.

ვარშავა, 2 ნოემბერი. საერო განათლების სამინისტროს მმართველმა ნება დართო უნივერსიტეტის დახურვაზე.

ბერლინი, 2 ნოემბერი. „ნორდ დოიჩე ალგემაინე“ აცხადებს, ინგლისის გაზეთების ცნობა, ვითომც გერმანიასა და ავსტრიას პირობა შეეკრათ ამ ნახევარის წლის წინად, ჯარები დაეძრან რუსეთის პოლონეთის წინააღმდეგ, თუ რუსეთის მთავრობას არ ექნება ძალა პოლონელების ასალაგმავად და ვითომც იმპერატორს ვილჰელმს გადაეწყვიტოს, მოსპოს პოლონეთის მოსალოდნელი აჯანყება, საფუძველს მოკლებულია. „ფოსიშე“-ს სიტყვით, პოლონეთის მებრძოლთა მხოლოდ მცირედი ნაწილი არდგენს ეროვნულ ხასიათის მოთხოვნას, მასსა კი პოლიტიკურ-ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესების გარდა, სკოლებში სამშობლო ენის შემოღებას ესწრაფვის. რუსეთის მთავრობა გადაჭრით უნდა აღუდგეს წინ ყოველივე დავას წმინდა ეროვნულ ხასიათისას, ვინაიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში, რეაქციონერები საბაბს იშოვნიან კაბინეტის დასაცემად.

ლვოვი, 2 ნოემბერი. პოლიტეხნიკუმისა და უნივერსიტეტის სტუდენტებმა და მუშებმა მოინდომეს საღამოთი დემონსტრაციის მოხდენა რუსეთის საკონსულოს წინააღმდეგ. ქუჩებში პოლიცია გაჩნდა და გაჰფანტა დემონსტრანტები. უკანასკნელები გერმანიის საკონსულოსაკენ გაემართნენ, სადაც ხელ-ახლა გადაეღობა წინ პოლიცია. მანიფესტანტებმა სროლა აუტეხეს. პოლიციამ იარაღით გაჰფანტა ხალხი დაჭრილია რამდენიმე სტუდენტი და მუშა.

პეტერბურგი. უმაღლესის ბრძანებით, სახელმწიფო ხარჯით უნდა გაეგზავნონ მათ მიერ საცხოვრებლად არჩეულ ადგილებში ყველა ის უბრალო ჯარის-კაცნი, რომელნიც მოქმედ ჯარებში არიან და რომელნიც სათადარიგო ჯარის კაცებად უნდა იქმნან ჩარიცხულნი; ეს განკარგულება შეეხება როგორც მომავალ მობილიზაციას, ისე შემდეგ წლებისას.

კირსანოვი, 2 ოქტომბერი. ბალიშოვის მაზრიდან აგრარული მოძრაობა კირსანოვისასაც მოედო. გლეხები სწვავენ მებატონეების კარმიდამოებს და მიაქვთ პური ბეღლებიდან; კირსანოვის მაზრაში განადგურებულია 25-მდე კარმიდამო. დანარჩენი მემამულეები ჯერ-ჯერობით ხელ-უხლებელი არიან, რადგანაც მათ ძლიერი მცველები ჰყავთ. მოძრაობა მაზრის სხვა კუთხეშიაც გადადის—მოქმედებს ჯარის მხოლოდ 3 რაზმი.

პეტერბურგის ბირჟა 11 ოქტომბ. 1905 წ.

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	93,75
ბერლინისაზე 100 მარკაში	—
პარიზისაზე 100 ფრანკში	—
ლონდონისაზე ჩეკები	94,70
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე „	37,70
ბირჟის დისკონტი	$5^1/_4$—$7^0/_0$
$4^0/_0$ სახელმწიფო რენტა	$87^1/_8$
$4^0/_0$ სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
$4^1/_2{}^0/_0$ შინაგანი სესხი 1903 წ.	—
$4^0/_0$ გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	$85,^1/_2$
$5^0/_0$ 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	$451^1/_2$
$5^0/_0$ მე-2 შინ. ეს. მომ. ბილ. 1866 წ.	$346^1/_2$
$5^0/_0$ გირ. მომ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბან.	280
$5^0/_0$ ობლ. ტფილ. საკრედ. საზოგად.	—
$4^1/_2{}^0/_0$ ობლიგ. იმავე საზოგადოებისა	—
$5^0/_0$-ანი ობლ. ბაქოს საკრედ. საზოგ.	—
$5^0/_0$ გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—
$4^1/_2{}^0/_0$ გირავ. ფურც. ამავე ბანკისა.	—
$6^0/_0$ გირ. ფურც. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	—
$5^0/_0$ გირავ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
ს. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	200

რედაქტორ-გამომცემელი ალ. გ. ჯაბადარი.

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის
გამგეობა

აცხადებს, რომ გამგეობის სადგომში 5 ნოემბერის 12 საათისათვის დანიშნულია ვაჭრობა, რომელზედაც გაიყიდება 75 ძირი თივა ციტოხცევის მამულში (სოფ. ოლგინსკაიას მახლობლად), რომელიც ქალაქს იჯარით აქვს აღებული. თივის გასინჯვა ადგილობრივ შეიძლება ყოველ დროს. გაიყიდება თივა წონით, რისთვისაც იქვე ურმის სასწორია. ვინც ვაჭრობაში მონაწილეობას მიიღებს, იმან კანონიერი ბე უნდა შემოიტანოს. (1—6.—1)

კბილებს

ვიღებ, პლომბს ვუკეთებ, ვასუფთავებ, ვსვამ ახალ ხელოვნურ კბილებს და ვაშორებ ცუდ სუნს. გ. მ. იოხველი. მიხეილის ქ. № 108. გერმანელთა ტაძრის პირდაპირ. ხელ მოკლეებს იაფად. (30—8)

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას **სამკურნალო**,

რომელიც იმყოფება **მათი უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ**, სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვით და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა»

კიოსკში

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონი- მ. კაშ. შვილისა—პოუმა პაჩანასი	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელი, მოთხრობა—მელანიასი	—	20
ალ. ყაზბეგის I, ტომი	1	—
II და III ტომი თითო	1	—
ილ. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნად	—	80
სოფლის კუნძულ, დ. მაჩხანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტ. თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	20
აივენგო რომანი—ვალტერ სკოტისა	—	55
ხიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	10
ღვინის დაყენება, პროფ. ვ. პეტრიაშვილისა	1	50
რძე, მისივე	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—ჰენრიხ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	—	25
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	—	20
ხენთი რაფფი:ი, თარგმანი სომხურიდან კ. ევანგულოვისა	1	—

მსწრაფლმბეჭდავი „წიგნების გამოც. ქართვ. ამხ.“-სა. ვანქის დიდი ქუჩა. ტელეფონი № 372.